პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურა და ხელოვნება

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს
ყოველკვირეული ორგანო

№ 11 (21), შაბათი, 25 მარტი, 1944 წელი. ფასი 1 მან.

დღეს ნომერში:

— **უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებები.**

— საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის პლენუმის მისალმებები ამხანაგ **ი. ბ. სტალინისადმი** და ამხანაგ **ლ. პ. ბერიასადმი.**

— **ბესო ჟღენტი**—ისტორიის მებრძოლი სული.

— ახალი ისტორიული კინო-ფილმი „კუტუზოვი“.

— პროფ. **კოტე მეღვინეთ-უხუცესი** — რუსული მუსიკის სიამაყე.

— **ილია ზურაბიშვილი**—სახელოვანი ქართველი დირიჟორი.

— **კარლო კალაძე**—მოგონება (ლექსი).

— **ნიკო ლორთქიფანიძე** — ტყვედ ყოფილის დაბრუნება (მოთხრობა).

— **არჩილ გურჯიძე** — მეძახის ჩემი მერანი (ლექსი).

— **შალვა ალხაზიშვილი** — შენიშვნები კინო-რეჟისორის შემოქმედებაზე.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ კონევს

უკრაინის მე-2 ფრონტის ჯარებმა, რომლებიც შეტევას განაგრძობდნენ, დღეს, 22 მარტს, ორი დღის შეუპოვარი ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი **პერვომაისკი** — რკინიგზების დიდმნიშვნელოვანი კვანძი და გერმანელთა თავდაცვის ძლიერი დასაყრდენი პუნქტი **იუჟნი ბუგის** შუაწელზე.

ქალაქ **პერვომაისკის** დაკავებისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ჟადოვის**, გენერალ-პოლკოვნიკ **შუმილოვის**, გენერალ-ლეიტენანტ **როდიმცევის**, გენერალ-მაიორ **ლებედენკოს**, გენერალ-მაიორ **აკიმენკოს**, გენერალ-მაიორ **მოროზოვის**, გენერალ-მაიორ **ბაკლანოვის**, გენერალ-მაიორ **ლილენკოვის** ჯარებმა, არტილერიის გენერალ-მაიორ **პოლუექტოვის** არტილერისტებმა და სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **კატკოვის** ტანკისტებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი ქალაქ **პერვომაისკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**პერვომაისკის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 22 მარტს, 21 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ასოცდათოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის მე-2 ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც დაიკავეს ქალაქი **პერვომაისკი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ქალაქ **პერვომაისკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 22 მარტი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
საბჭოთა კავშირის მარშალ ჟუკოვს

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა **ტარნოპოლის**, **პროსკუროვის** უბანზე მოიგერიეს მოწინააღმდეგის ყველა კონტრიერიში, მოქანცეს ამ ბრძოლებში გერმანელთა სატანკო და ქვეითი დივიზიები, რომლებსაც აქ კონტრიერიშები მოჰქონდათ, ამ დღეებში მტრისათვის უეცრად თვითონ გადავიდნენ შეტევაზე და გაარღვიეს მისი ფრონტი.

ოთხი დღის შეტევითი ბრძოლების განმავლობაში უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარებმა წაიწიეს წინ 60-დან 100 კილომეტრამდე, დაიკავეს ქალაქი და დიდი ოპერატიული მნიშვნელობის მქონე რკინიგზის კვანძი **ჩერტკოვი**, ქალაქი **გუსიატინი**, ქალაქი და რკინიგზის კვანძი **ზალეშჩიკი** მდინარე დნესტრზე და გაათავისუფლეს 400-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

გარღვევის განხორციელებისას და ქალაქების **ჩერტკოვის**, **გუსიატინისა** და **ზალეშჩიკის** დაკავებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-პოლკოვნიკ **ჩერნიახოვსკის**, გენერალ-პოლკოვნიკ **გრეჩკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ჟურავლიოვის**, გენერალ-პოლკოვნიკ **მოსკალენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ლიუდნიკოვის**, გენერალ-მაიორ **ჩუვაკოვის**, გენერალ-მაიორ **ზამერცევის**, გენერალ-მაიორ **ლაზკოს**, გენერალ-მაიორ **შმიგოს** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კატუკოვის**, გენერალ-პოლკოვნიკ **რიბალკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ლელიუშენკოს**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **გეტმანის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **დრემოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **პანფილოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **ივანოვის**, სატანკო ჯარების გენერალ-მაიორ **მალიგინის**, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **პოლუბოიაროვის** ტანკისტებმა, არტილერიის გენერალ-პოლკოვნიკ **ვარენცოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ბრიჩენოკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ლიხაჩოვის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **ვოლჩეკის**, არტილერიის გენერალ-მაიორ **სანკოს**, პოლკოვნიკ **რაზუმოვსკის** არტილერისტებმა და ავიაციის გენერალ-პოლკოვნიკ **კრასოვსკის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **პოლუნოვის**, ავიაციის გენერალ-მაიორ **გოლოვნიას**, ავიაციის გენერალ-მაიორ **კამანინის**, პოლკოვნიკ **კოტელნიკოვის**, პოლკოვნიკ **იუზეევის**, კაპიტან **ტიტარენკოს** მფრინავებმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად ის შენაერთები და ნაწილები, რომლებმაც ყველაზე უფრო გამოიჩინეს თავი გარღვევის განხორციელებისას და ქალაქების **ჩერტკოვის**, **გუსიატინისა** და **ზალეშჩიკის** განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში, წარდგენილ იქნან „**ჩერტკოვის**“, „**გუსიატინისა**“ და „**ზალეშჩიკის**“ სახელწოდების მისანიჭებლად და ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 24 მარტს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით ორასოცდაოთხი ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალპით სალუტს აძლევს უკრაინის 1-ლი ფრონტის მამაც ჯარებს, რომლებმაც გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა **ტარნოპოლის**, **პროსკუროვის** უბანზე.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენს ხელმძღვანელობაში მყოფ ყველა ჯარს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ გერმანელთა თავდაცვის გარღვევაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1944 წლის 24 მარტი.

„მტკიცე მეგობრობა“

ახალგაზრდა კინორეჟისორმა კ. გრძელიშვილმა დაამთავრა მხატვრული კინონარკვევი „მტკიცე მეგობრობა“. ფილმში ასახულია სოფელ „შრომა“-ს ქართულ კოლმეურნეობისა და გენიჩესკის რაიონის, უკრაინულ კოლმეურნეობის გმირული მუშაობა ზურგში. ფილმი მოგვითხრობს უკრაინისა და ქართველ ხალხთა სტალინურ მეგობრობაზე, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა სამამულო ომის დღეებში. ფილმის სცენარი ეკუთვნის მწერალს ვ. ჟურულს და კ. გრძელიშვილს. ოპერატორი გ. უსეინაშვილი.

მოსკოვი, კრემლი

დიდ მარშალს ამხანაგ სტალინს

ძვირფასო ამხანაგო **სტალინ!**

საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალედ მოგესალმებიან თქვენ, ხალხთა დიდ ბელადს, უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის ბრძენ მარშალს, რომელსაც, ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მიჰყავს.

ჩვენი პლენუმის მუშაობა მიმდინარეობდა წითელი არმიის ძლევამოსილი შეტევის ვითარებაში. წითელმა არმიამ უმაგალითო გამარჯვებები მოიპოვა გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ გმირულ ბრძოლაში და კვლავ საყოველთაო დიდებით შემოსა ჩვენი სახელოვანი საბრძოლო დროშები. მტრის მუხანათური გეგმა საბჭოთა კავშირის ხალხების დამონებისა სამარცხვინოდ ჩაიფუშა. ვერაგი მტერი სასტიკ დამარცხებებს განიცდის და ახლოა მისი სრული განადგურების ჟამი.

საქართველოს საბჭოთა მწერლები მთელ ქართველ ხალხთან ერთად უსაზღვროდ აღფრთოვანებულნი ხვდებიან ჩვენი მშობლიური მოსკოვის სალუტების სასიხარულო ხმას, წითელი არმიის გამარჯვებათა მაუწყებელს,— არმიისა, რომელიც თქვენი ბრძნული მხედართმთავრობით მეოცე საუკუნის ვანდალებისაგან სწმენდს მშობლიურ საბჭოთა მიწა-წყალს.

ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ დაკისრებული გვაქვს საპატიო და ძნელი ამოცანა — შევქმნათ ჩვენი დიადი ეპოქის ღირსეული ქართული საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა, ხალხის ინტერესების გამომხატველი, მისი მსახური, სოციალისტურ სამშობლოსადმი მხურვალე სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღმაფრთოვანებელი.

მშობლიურო ამხანაგო **სტალინ!**

თქვენი უდიდესი ზრუნვა საბჭოთა ლიტერატურაზე ყოველთვის შთამაგონებელია ჩვენთვის. იგი ძალას გვმატებს ვიმუშაოთ მთელი არსებით, მოვახმაროთ მთელი ჩვენი ნიჭი და უნარი ქართული საბჭოთა ლიტერატურის უფრო მეტ აყვავებას. თქვენ მიერ მოცემული ისტორიული განსაზღვრა მწერლისა, როგორც ადამიანის სულის ინჟინრისა, ამაღლებს ჩვენში კანონიერ სიამაყის გრძნობას, გვასწავლის ვიყოთ ხალხის სანუკვარ ფიქრთა და მისწრაფებათა გამომხატველნი, ხალხის ინტერესების დამცველნი.

მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ ცოტა გვაქვს გაკეთებული იმისათვის, რათა მხატვრულ სახეებში აგვესახა და გადმოგვეცა ხალხის გმირული ბრძოლა ფრონტზე, მისი თავდადებული მუშაობა ზურგში, გვეჩვენებინა ჩვენი ქვეყნის გმირი შვილები, რომლებიც ისტორიაში უმაგალითო თავდადებით იცავენ დიდი სტალინის გენიით გაცისკროვნებულ საბჭოთა სამშობლოს.

ქართველმა მწერლებმა, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხების მწერლებთან ერთად, სამამულო ომის პირველ დღიდანვე მთელი თავიანთი ძალები და საშუალებანი დარაზმეს პირსისხლიან გერმანელ ფაშისტ ავაზაკთა წინააღმდეგ საყოველთაო სახალხო ბრძოლისათვის. ქართული სიტყვის ოსტატები ყველაფერს აკეთებდნენ და აკეთებენ კაციჭამია ჰიტლერელთა განადგურების დასაჩქარებლად, ვერაგ მტერზე გამარჯვებისათვის.

როცა გამხეცებული მტერი ჭალარა კავკასიონის ამაყ მთებს მოადგა და ცდილობდა დაემონებინა ამიერ-კავკასიის თავისუფლებისმოყვარე ხალხები, ქართველი საბჭოთა მწერლები მთელ ხალხთან ერთად აღსდგნენ მტრის უკუსაგდებად და მისი სრული განადგურებისათვის. ქართველი საბჭოთა მწერლები თავიანთ ნაწარმოებებში ასახავენ გმირულ ბრძოლას კავკასიისათვის, რაც მტრის ურდოების უკუგდებითა და მოსპობით დამთავრდა.

სიტყვას გაძლევთ, ძვირფასო ამხანაგო **სტალინ**, რომ ქართველი საბჭოთა მწერლები დაუღალავად იმუშავებენ, რათა დაეუფლონ ლენინურ-სტალინური მოძღვრების მძლავრ იარაღს, წარმატებით შეასრულებენ საბჭოთა ლიტერატურის, კერძოდ, ქართული საბჭოთა ლიტერატურის წინაშე მდგომ უდიდეს ისტორიულ ამოცანებს.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სოციალისტურ სამშობლოს!

გაუმარჯოს ლენინ-სტალინის პარტიას, ბოლშევიკების პარტიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხალხის პირმშოს — ძლევამოსილ წითელ არმიას!

სახელი და დიდება ხალხთა ბრძენ ბელადს, უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს მშობლიურ ამხანაგ **სტალინს!**

მოსკოვი

ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე ბერიას

ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი!

საქართველოს საბჭოთა მწერლები მხურვალე სალამს გიძღვნით თქვენ, დიდი **სტალინის** ერთგულ თანამებრძოლს, ქართველი ხალხის სასიქადულო შვილს, საქართველოს საბჭოთა მწერლების იდეურ აღმზრდელსა და მეგობარს.

ჩვენი პლენუმი შეიკრიბა ჭეშმარიტად აღმაფრთოვანებელ დღეებში, როცა სახელოვანი მამაცი წითელი არმია ახალ-ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს. საბჭოთა პატრიოტის — ქართველი მწერლის გული ულრმესი სიამაყით არის სავსე, რომ წითელი არმიის ამ გრანდიოზულ წინსვლაში თავისი მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი საბჭოთა საქართველოსაც.

საბჭოთა საქართველომ აღმოაჩინა საკმაოდ ძლიერი სულიერი და ფიზიკური ენერგია იმისათვის, რომ დიდი რუსი ხალხის მეთაურობით, საბჭოთა კავშირის მოძმე ხალხებთან ერთად, თავდადებული შრომით ზურგში და თავგანწირული ბრძოლით ფრონტზე დაეძაბა მთელი ძალები ისტორიული მისიის შესასრულებლად, ბარბაროსული ფაშიზმის გასანადგურებლად გაჩაღებულ სამამულო ომში.

და თუ საბჭოთა საქართველო ამ დიდად საპატიო მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა, თუ მტერზე გამარჯვებისათვის მან ათასობით აღზარდა საქვეყნოდ სახელგანთქმული მეომრები, ფრონტისა და ზურგის გმირები, ეს არის პირდაპირი შედეგი იმ სახელოვანი მუშაობისა, რომელსაც ათეული წლების მანძილზე თქვენი ხელმძღვანელობით აწარმოებდნენ საქართველოს ბოლშევიკები ქართველი ხალხის შემოქმედებითი ძალების ზრდისა და განვითარებისათვის.

თქვენი დაუცხრომელი მოღვაწეობით და მზრუნველობით, ძვირფასო ამხანაგო ლავრენტი, საბჭოთა საქართველო აყვავდა, გარდაიქცა ძლიერი ინდუსტრიის, ინტენსიური მეურნეობის, მაღალი კულტურის მოწინავე რესპუბლიკად.

1942 წლის შემოდგომის მრისხანე დღეებში, როცა ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონის კალთებს მოადგნენ და სრული განადგურებით დაემუქრნენ ქართველი ხალხის ფიზიკურ არსებობას, თქვენ, ძვირფასო ლავრენტი პავლეს-ძევ, ბრწყინვალედ განახორციელეთ დიდი მხედართმთავრის, ბრძენი სტალინის გეგმა ამიერ-კავკასიის დაცვისა, ააცდინეთ საქართველოსა და ამიერ-კავკასიის მოძმე რესპუბლიკებს სიკვდილი და განადგურება. თქვენი ხელმძღვანელობით ამიერ-კავკასიის ფრონტის ჯარებმა შეაჩერეს მტრის დაჯავშნული ურდოები, შემდეგ უკუაგდეს და გაანადგურეს ისინი.

არასოდეს ქართველი ხალხი არ დაივიწყებს თქვენს ამ განუზომელ ამაგსა და ღვაწლს. საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ბუმბერაზ ადამიანებთან ერთად მუდამ ჟამს სიყვარულით, მადლობის მხურვალე გრძნობით გარემოსილი არის და იქნება თქვენი სახელი.

თქვენს მიერ აღზრდილი, მზრუნველობით წახალისებული ქართველი საბჭოთა მწერლები სიტყვას გაძლევთ—მეტი ინტენსიობით და დაძაბულობით განვაგრძოთ ჩვენი შემოქმედებითი მუშაობა, ღირსეულად ავსახოთ ქართველი ხალხის თავდადებული ბრძოლა მამულისათვის, შევქმნათ ჭეშმარიტი ხელოვნების ნაწარმოებნი, რომლებიც მომავალი თაობისათვის შეინახავენ და შთამომავლობას აგრძნობინებენ საბჭოთა ადამიანის უმაგალითო გმირობას და შრომითი მამაცობას.

გაუმარჯოს ჩვენს გმირულ სახელოვან წითელ არმიას!

გაუმარჯოს ქართველი ხალხის სიამაყეს, დიდი სტალინის უახლოეს თანამებრძოლს ამხანაგ ლავრენტი პავლეს-ძე **ბერიას!**

გაუმარჯოს დიდ **სტალინს!**

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მეოთხე პლენუმი

20 მარტს, საღამოს 7 საათზე, მწერალთა სასახლეში მუშაობა დაიწყო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მეოთხე პლენუმმა. გამგეობის წევრებს გარდა, პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს თბილისის მწერალთა აქტივმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის და ქუთაისის ლიტერატურული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

პლენუმის ყველა სხდომას დაესწრო საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში **ამხ. პ. შარია.** ხსენებულ პლენუმს დაესწრნენ აგრეთვე საქართველოს მეცნიერებისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწენი, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

პლენუმის პირველი სხდომა გახსნა **შალვა დადიანმა**, რომელიც მოკლედ შეეხო პლენუმის წინაშე დასმულ ამოცანებს.

„ჩვენი პლენუმი, — განაცხადა თავის შესავალ სიტყვაში შალვა დადიანმა, — რომელიც მუშაობას იწყებს ჩვენი სახელოვანი არმიის გადამწყვეტ და ბრწყინვალე გამარჯვებათა ვითარებაში, მოწოდებულია განიხილოს ჩვენი მწერალთა კავშირის შემდგომი იდეურ-ორგანიზაციული და შემოქმედებითი განმტკიცების საკითხები. საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი გერმანელ დამპყრობელთა წინააღმდეგ ქართული საბჭოთა მწერლობის დიდი გამოცდაც იყო.

ამ დიდმა ომმა, როგორც მთელი საბჭოთა ხალხისაგან, ისე მწერლობისაგან მოითხოვა მთელი მისი სულიერი ენერგიის დაძაბვა. და ჩვენი მწერლობაც ამ ხნის განმავლობაში სულდგმულობდა და ცოცხლობდა ერთი იდეით — გაეძლიერებინა ჩვენს ხალხში საბრძოლო სულისკვეთება, დაერაზმა მთელი მისი ფიზიკური და სულიერი ენერგია სისხლიანი ფაშიზმის სრული განადგურებისათვის საბრძოლველად. ეს კეთილშობილური მისწრაფება ამოძრავებდა ქართულ საბჭოთა მწერლობას. სამამულო ომის დღეებში შეიქმნენ ნამდვილი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოებნი, რომელნიც დარჩებიან ჩვენს ლიტერატურაში, როგორც საბჭოთა ადამიანის მაღალ იდეურ-მორალურ მისწრაფებათა მაჩვენებელი მხატვრული დოკუმენტები. მაგრამ ამავე დროს გამოქვეყნდა ისეთი პროდუქციაც, რომელიც მკრთალადაც ვერ ასახავს ჩვენი ხალხის უაღრესად დაძაბული შრომისა და გმირული ბრძოლის სიმართლესა და სინამდვილეს. პლენუმმა უნდა განიხილოს როგორც პირველი, ისე მეორე რიგის ნაწარმოებნი და შეაფასოს ისინი ისე, როგორც ამას მოითხოვენ ქართული საბჭოთა ლიტერატურის შემდგომი ზრდის ამოცანები.

ჩვენ, ქართველი მწერლები, ტემპერამენტის ხალხი ვართ, ვერ ვიჩენთ ზომიერებას ლიტერატურული მოვლენების შეფასებაში, მეტად ვაზვიადებთ როგორც ღირსებას, ისე ნაკლს ამა თუ იმ ნაწარმოებისას. პლენუმის მონაწილენი უნდა ერიდონ ასეთ უკიდურესობას და დაკვირვებულად, საფუძვლიანად გაარჩიონ კარგი თუ ავი მხარე სამამულო ომის დღეებში გამოქვეყნებული ლიტერატურული პროდუქციისა.

უდავოა, რომ როგორც მთელი ჩვენი ორგანიზაციის ისე ცალკეული მისი წევრის მუშაობას ჰქონდა ნაკლი, სუსტი მხარე. ჩვენი ვალია გამოვარკვიოთ მიზეზი ჩვენი სისუსტისა და მივიღოთ ყველა შესაძლებელი ღონისძიება მის გამოსასწორებლად!

შ. დადიანის შესავალი სიტყვის მოსმენის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი:

1) ქართული საბჭოთა ლიტერატურა სამამულო ომის დღეებში და 2) საორგანიზაციო საკითხები.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. **ირაკლი აბაშიძე.**

მოხსენების შესავალში ამხ. ი. აბაშიძე საკმაოდ ვრცლად შეჩერდა სსრ კავშირის საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მე-9 პლენუმის მუშაობის შედეგებზე და ამ პლენუმის მასალის მიხედვით მიმოხილვა გაუკეთა რუსული, უკრაინული, ბელორუსული და სხვა მოძმე რესპუბლიკების მწერალთა შემოქმედებას სამამულო ომის პერიოდში, ამასთან შეჩერდა მხატვრული შემოქმედების იმ პრობლემებზე, რომლებიც ზემოხსენებულ პლენუმზე წამოიჭრენ.

მოხსენების ძირითად ნაწილში ირ. აბაშიძემ მიმოხილვა გაუკეთა მწერალთა კავშირის მუშაობას, ამ უკანასკნელ წლებში გამოსულ ნაწარმოებებზე მოწყობილ შემოქმედებითს დისკუსიებს, მწერლების საქმიანობას საფრონტო გაზეთებში, მწერალთა ბრიგადების მივლინებებს ფრონტზე და რაიონებში და შემდეგ შეჩერდა ცალკეულ მწერალთა უკანასკნელ გამოქვეყნებულ ნაწარმოებებზე. გზადაგზა მომხსენებელი შეეხო იმ შემოქმედებით პრობლემებს, რომლებსაც გვისახავს დღევანდელი ჩვენი ლიტერატურული პრაქტიკა.

ამხ. ირაკლი აბაშიძის მოხსენებით დამთავრდა 20 მარტის პირველი სხდომა.

21 მარტის (მეორე) სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. **ილო მოსაშვილი**, დაიწყო კამათი ამხ. ირაკლი აბაშიძის მოხსენების გარშემო. კამათში გამოვიდნენ შალვა აფხაიძე, პარმენ ლორია (აჭარის ასსრ მწერალთა კავშირი), ვანო წულუკიძე, აკაკი გაწერელია, გერონტი ქიქოძე, გიორგი გულია (აფხაზეთის ასსრ მწერალთა კავშირი), მ. შავლოხოვი (სამხრეთ-ოსეთის მწერალთა კავშირი).

22 მარტის (მესამე) სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა ამხ. **შალვა რადიანი**, გაგრძელდა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს ალექსანდრე აბაშელმა, სანდრო შანშიაშვილმა, ელენე ღოღობერიძემ, კონსტანტინე გამსახურდიამ, შალვა დადიანმა, დემნა შენგელაიამ, გივი გაჩეჩილაძემ, კონსტანტინე კაპანელმა, ვანო დარასელმა, დიმიტრი კვირკველიამ (საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილება), როდიონ ქორქიამ და ი. ლავრუხინმა (გაზეთ „ბოეც რკკა“-ს რედაქტორი).

23 მარტის (მეოთხე) სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა **ლეო ქიაჩელი**, კამათი ი. აბაშიძის მოხსენების გარშემო დამთავრდა. კამათში გამოვიდნენ გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ჟღენტი, კონსტანტინე ჭიჭინაძე, სანდრო ეული, გიორგი ლეონიძე.

კამათის დასასრულს მომხსენებლისა და კამათში გამოსულ მწერალთა მიერ აღძრულ შემოქმედებითს საკითხებზე ფრიად საინტერესო, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **პ. ა. შარიამ.**

პლენუმის მეხუთე სხდომა შესდგა 24 მარტს, დღის პირველ საათზე. პლენუმმა განიხილა საორგანიზაციო საკითხები და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ, საკუთარი თხოვნის თანახმად, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმის მდივნის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. **ირაკლი აბაშიძე.**

პლენუმმა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ამხ. **სიმონ ჩიქოვანი**, ხოლო საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის მდივნად —ამხ. **გიორგი ჯიბლაძე.**

პლენუმმა მისალმება გაუგზავნა უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხანაგ **ი. ბ. სტალინს** და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარს ამხანაგ **ლ. პ. ბერიას.** მთელი დარბაზი მქუხარე, დიდხანს შეუწყვეტელი ოვაციებით შეხვდა დიდი ბელადისა და ქართველი ხალხის საყვარელი შვილის ამხანაგ ლ. ბერიასადმი გაგზავნილ მისალმებებს.

პლენუმის მუშაობის დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნებული იქნება ჩვენი გაზეთის შემდეგ ნომერში.

ახალგაზრდა რეჟისორები

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ, ახალგაზრდა რეჟისორთა შემოქმედებითი დათვალიერების კომისიის დასკვნის საფუძველზე, იმ ახალგაზრდა რეჟისორებს, რომელთაც თავი გამოიჩინეს, როგორც სავსებით მომზადებულმა და შემოქმედებითი მუშაობისათვის მომწიფებულმა მუშაკებმა მიენიჭათ რეჟისორის სახელწოდება.

პირველი კატეგორიის რეჟისორის სახელწოდება მიენიჭათ გ. ტოვსტონოგოვს, (გრიბოედოვის სახელობის თეატრი), დ. ფიდანიანს (მოზარდმაყურებელთა სომხური თეატრი), თ. ლორთქიფანიძეს (ფოთი), ზ. ჩაჩიევას (სტალინირი), ო. ალექსიშვილს (გორი), გ. ტყაბლაძეს (ჭიათურა), **ხ. ახალაძეს** (მახარაძე).

მეორე კატეგორიის რეჟისორის სახელწოდება მიენიჭათ: თ. წეროძეს (მოზარდმაყურებელთა ქართული თეატრი), ა. ბილადოვს (აზერბაიჯანული თეატრი), ვ. კამკამიძეს (ცხაკაია), მ. ვაშაძეს (ჭიათურა), მ. ჯალალანიას (ჩოხატაური), ვ. ბოქორიშვილს (თელავი), დ. არუთინოვს (ლაგოდეხი).

პროფ. კოტე მეღვინეთუხუცესი

რუსული მუსიკის სიამაყე

(ნ. რიმსკი-კორსაკოვის დაბადებიდან ასი წლისთავის გამო)

1844 წელს 17 მარტს ქალაქ ტიხვინში დაიბადა ადამიანი, დაჯილდოებული დიდი მუსიკალური ნიჭით, ნათელი, ღრმა აზროვნების უნარით და ნებისყოფის იშვიათი სიმტკიცით და სიმძლავრით, ყოველივე ამან მის შემოქმედებას დიდი სარბიელი და გასაქანი მოუპოვა. მან რუსული მუსიკალური კულტურა მანამდე მიუწვდომელ სიმაღლეზე აიყვანა. ეს ადამიანი რუსული მუსიკის ერთ-ერთი ბუმბერაზი კომპოზიტორი ნიკოლოზ ანდრიას-ძე რიმსკი-კორსაკოვი იყო, რომლის დაბადების ასი წლისთავს დღეს საბჭოთა კავშირის მთელი მოსახლეობა ეხმაურება და რომლის სახელი რუსული მუსიკალური კულტურის ნათელმოსილ სიამაყეს და მშვენებას შეადგენს.

რიმსკი-კორსაკოვი 17 წლის ჭაბუკი იყო, როცა გაეცნო კომპოზიტორ ბალაკირევს და მის წრეს. ეს წრე 1857 წელს შექმნეს ახალგაზრდა და შემდეგში სახელგანთქმულმა კომპოზიტორებმა, დარგომიჟსკიმ, კიუიმ და მუსორგსკიმ. 1862 წელს მათ შეემატა ბოროდინი. ამგვარად ჩამოყალიბდა ის წრე, რომელსაც მისი პრინციპული შეხედულებების გამომსახველმა ლიტერატურაში, რუსული ეროვნული მუსიკის იდეოლოგმა და კრიტიკოსმა ვლ. სტასოვმა „მძლავრი ჯგუფი“ უწოდა.

უდავოა, რომ რუსული ეროვნული მუსიკის პრობლემამ რეალური და ბრწყინვალე განსახიერება მიიღო ამ ჯგუფის წევრთა მხატვრულ შემოქმედებასა და საქმიანობაში.

ბალაკირევის წრემ უდიდესი ზეგავლენა მოახდინა რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებაზე. თვით ბალაკირევმა მაშინვე საუკეთესო შეფასება მისცა მის პირველ კომპოზიტორულ ცდებს, წაახალისა ის, ღრმად დაარწმუნა, რომ მისი მოწოდება შემოქმედების სფეროში იყო. ეს ასეც მოხდა. მომდევნო წლებმა სავსებით ნათელჰყვეს, რომ რიმსკი-კორსაკოვის კომპოზიტორული შემოქმედება რუსული ეროვნული მუსიკის ნამდვილი გამარჯვება იყო.

ამ გამარჯვების ისტორიული მნიშვნელობა გაიზომება 14 შესანიშნავი ოპერით, სამი სიმფონიით, ერთი სიმფონიური სიუიტით („შეხერაზადა“), სამი უვერტიურით, ორი საორკესტრო თხზულებებით („ესპანური კაპრიჩიო“ და „აღდგომა“), კონცერტით ფორტეპიანოსათვის, ფანტაზიით ვიოლინოსათვის, კვინტეტით და სექსტეტით სიმებიან საკრავებისათვის რამდენიმე საგუნდო სიმღერით, ასი რომანსით და სხვა.

ყველა ეს თხზულება, დამუშავებული შესანიშნავი საკომპოზიციო ტექნიკით, ღირსეულად არის შეფასებული რუსი ხალხის მიერ. თუ გავიხსენებთ, რომ რიმსკი-კორსაკოვის მიერ დამთავრებულია ბოროდინის „თავადი იგორი“, გაორკესტრებულია დარგომიჟსკის „ქვის სტუმარი“, რედაქტირებულია და ტექნიკურად შესწორებული მუსორგსკის თითქმის ყველა თხზულება (მათ შორის ოპერები „ბორის გოდუნოვი“ და „ხოვანშჩინა“), მრავალი კი გადარჩენილია დაკარგვისაგან, ცხადი გახდება, რომ რიმსკი-კორსაკოვის მუშაობამ უამრავი სარგებლობა მოუტანა როგორც თვით „მძლავრ ჯგუფს“, ისე რუსული ეროვნული მუსიკალური კულტურის განმტკიცებას და მისი საგანძურის გამდიდრების დიად საქმეს.

რიმსკი-კორსაკოვის ცხოვრება და მხატვრული შემოქმედება წარმოადგენს კომპოზიტორის ნიჭის ზრდა-განვითარებას იმგვარ სიძნელეთა პირობებში, რომელთა დაძლევისათვის აუცილებელი იყო სიმტკიცე, სულიერი სისპეტაკე და ღრმა პატიოსნება. რიმსკი-კორსაკოვი 1876 წელს პეტერბურგის კონსერვატორიაში მიიწვიეს კომპოზიციის და ინსტრუმენტობის პროფესორად. ის იმ დროს უკვე სახელგანთქმული ავტორი იყო პირველი სიმფონიისა და სიმფონიური სურათების „სადკო“ და „ანტარისა“.

მაგრამ იმავე დროს თვით კომპოზიტორი გრძნობდა რომ ბოლომდე არ იყო დაუფლებული თეორიულ პრინციპებს, ტექნიკურ ოსტატობას. ეს გარემოება ნაწილობრივ აბრკოლებდა რიმსკი-კორსაკოვის მხატვრული ფანტაზიის გაქანებას, ხელს უშლიდა დრომოჭმული ხერხების გადახალისებას, გულმოდგინე, ბეჯითი მუშაობით რიმსკი-კორსაკოვმა შესძლო შეევსო ეს ხარვეზები თავის განათლებაში.

ოთხი წლის დაუღალავი შრომა ტექნიკური ოსტატობის შესაძენად, განსაცვიფრებელი ენერგია და ნებისყოფა იმდენად სცვლიან რიმსკი-კორსაკოვის შემოქმედებითს უნარს და პერსპექტივებს, რომ ჩაიკოვსკი, რომელმაც წინად მიუთითა მას სწავლის აუცილებლობაზე, 1875 წელს სწერს: ქედს ვიხრი რიმსკი-კორსაკოვის არტისტული თავმდაბლობისა და არაჩვეულებრივად მტკიცე ნებისყოფის წინაშე: „გაკვირვებული ვარ და არ ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი უსაზღვრო პატივისცემა თქვენი არტისტული პიროვნებისადმი. რა წვრილმან, საცოდავ და გულუბრყვილო თავმომწონე ადამიანად მიმაჩნია მე ჩემი თავი თქვენთან შედარებით, მე ხშირად ხელოსანი ვარ კომპოზიციის დარგში, თქვენ კი იქნებით ხელოვანი მხატვარი ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით... სავსებით დარწმუნებული ვარ, — უწინასწარმეტყველებს ჩაიკოვსკი რიმსკი-კორსაკოვს, — რომ თქვენი უზარმაზარი ნიჭი შეერთებული იდეალურ, კეთილსინდისიერებასთან დააწერინებს თქვენს კალამს ისეთ თხზულებებს, რომელნიც გადააჭარბებენ ყოველივეს, რაც კი აქამდის დაწერილა რუსეთში“.

ჩაიკოვსკის ეს წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. მძლავრმა ნიჭმა, შეერთებულმა თვითკრიტიკულ აზროვნებასა და უდრეკ ნებისყოფასთან, გადალახა ყოველი სიძნელე და რიმსკი-კორსაკოვის სახელი ცისკრის ვარსკვლავივით ამობრწყინდა რუსული ეროვნული მუსიკალური კულტურის ცის ტატნობზე.

რიმსკი-კორსაკოვი წარმოადგენს უდიდეს ფიგურას, სინთეტურ შედუღებას მხატვრის დიდი ნიჭისა და დიდი ადამიანის საოცარი სიმტკიცის ნებისყოფასთან. კომპოზიტორი წარმართველ ძალად გადაიქცა თავის ქვეყანაში. ის რაც „მძლავრ ჯგუფს“ ბუნდოვანად ჰქონდა წარმოდგენილი რუსული ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებისა და განმტკიცების დარგში, რიმსკი-კორსაკოვმა პრაქტიკულად განახორციელა და გადასჭრა. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო რიმსკი-კორსაკოვის პედაგოგიური მოღვაწეობა და ამ გზაზე რუსული საკომპოზიციო სკოლის დაფუძნება-ჩამოყალიბება. 1872 წლიდან რიმსკი-კორსაკოვის ზეგავლენით მხატვრულად იზრდება საუკეთესო ახალგაზრდობა. თუ თვალს გადავავლებთ სახელოვანი კომპოზიტორის გარშემო შემოკრებილ ახალგაზრდობას, დავინახავთ შემდეგში რუსული მუსიკალური შემოქმედების სარბიელზე სახელგანთქმულთ, როგორც მხატვრულ სფეროში, ისე მუსიკალურ მეცნიერებასა და სასწავლო საქმეში (ლიადოვი, ლისენკო, სოკოლოვი, არენსკი, იპოლიტოვ-ივანოვი, ზოლოტარიოვი, კლიმოვი, მიასკოვსკი, ჩერეპნინი, გლაზუნოვი, ტანეევი, სტრავინსკი და ბევრი სხვა). რუსული ეროვნული მუსიკის ამ მოწინავე თაობამ შეითვისა და ფართო გასაქანი მისცა თავისი მასწავლებლის მიერ დასახულ ამოცანებს რუსულ მუსიკაში. ეს იყო შემოქმედებაში რეალისტური პრინციპების განმტკიცება, ხალხოსნური მუსიკალური ენის დამკვიდრება ყოველივე ამის სრულყოფილ ტექნიკურ ოსტატობაზე დამყარებით.

პედაგოგიური მუშაობა რიმსკი-კორსაკოვს მიაჩნდა საპატიო და ფრიად მნიშვნელოვან საქმედ. ამ დარგშიც იგი როგორც ნამდვილი პატრიოტი და მოქალაქე მუშაობდა, და ყოველთვის, როდესაც მუსიკალურ სწავლა-განათლებას წინ გადაეღობებოდა რაიმე საფრთხე, რიმსკი-კორსაკოვი მოურიდებლად გამოდიოდა საყვარელი საქმის დამცველად და ქომაგად. 1905 წელს, როდესაც რეაქციის შავბნელმა ძალამ გაილაშქრა მოსწავლე ახალგაზრდობის წინააღმდეგ, რიმსკი-კორსაკომა გამოაქვეყნა წერილი, რითაც მხარი დაუჭირა სტუდენტობის რევოლუციურ ბრძოლას.

არანაკლები დამსახურება მიუძღვის რიმსკი-კორსაკოვს რუსული სიმფონიური მუსიკის პოპულარიზაციის საქმეში. იგი რუსული სიმფონიური კონცერტების იდეის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და მისი განმხორციელებელი იყო. იგი იმავე დროს დაუღალავი დირიჟორი და მასწავლებელი იყო.

რიმსკი-კორსაკოვი დაუვიწყარია რუსული კულტურისათვის. თავისი მდიდარი მემკვიდრეობით იგი შეადგენს არა მარტო საბჭოთა რუსეთის, არამედ მთელი საბჭოთა კავშირის ხალხთა სიამაყეს.

„კუტუზოვი“

ისტორიული კინო-ფილმი

„ახალი ფილმი კუტუზოვზე, — სწერს აკადემიკოსი ე. ტარლე გაზ. „პრავდაში“ — ძლიერ ამაღელვებელ შთაბეჭდილებას სტოვებს. მისი მთავარი ღირსებაა ისტორიულად სწორი და მხატვრულად მართალი გახსნა ფელდმარშალ კუტუზოვის სახისა, სცენარის ავტორი და ფილმის დამდგმელი გვიხატავენ კუტუზოვს, სუვოროვის ამ ღირსეულ მოწაფეს, პირველყოვლისა, როგორც ბრძენ და ნიჭიერ სტრატეგს. მაყურებლის წინ სდგას ის კუტუზოვი, რომელმაც პირველმა შეაფასა ბოროდინო, როგორც რუსეთის მორალური გამარჯვება შემოჭრილ აგრესორზე... კუტუზოვის როლს ასრულებს დამსახ. მსახიობი ა. დიკი, მსახიობმა ნიჭიერად გადასჭრა მძიმე ამოცანა, ნებისყოფის ძლიერი დაძაბვა და იმავე დროს გარეგნული თავშეკავება კუტუზოვისა მსახიობმა დიდი დამაჯერებლობით გადმოგვცა.

ტემპერამენტით ასრულებს საქართველოს მგზნებარე შვილის, ვაჟკაცი რუსი პატრიოტის, ოსტატი სარდლის, გენერალ ბაგრატიონის როლს საქართველოს დამსახურებული მსახიობი ს. ზაქარიაძე.

დამაჯერებლად გადმოგვცა ნაპოლეონის ტრაგედია ამ როლის შემსრულებელმა მეჟინსკიმ“.

ე. ტარლე მაღალ შეფასებას აძლევს აგრეთვე დანარჩენი როლების შემსრულებლებსაც. „ქების ღირსია, — განაგრძობს იგი, — დამდგმელის ვ. პეტროვის ოსტატობა, განსაკუთრებით კარგად არის დადგმული ისეთი სცენები, როგორიცაა ბოროდინოს ბრძოლა, პლატოვის კაზაკთა მამაცური იერიში, მოსკოვის ხანძარი, ფრანგული არმიის უკან დახევა და გაქცევა რუსეთიდან (უკან დახეული ფრანგების მიერ სმოლენსკის საწყობების გაძარცვა, ბერეზინა). დიდად დახმარებიან დამდგმელს თავის შემოქმედებითი განზრახვის განხორციელებაში კოლექტივის ყველა მონაწილე. განსაკუთრებით გამოსარჩევია მაღალხარისხოვანი მუშაობა ოპერატორ მ. გინდინისა. ეპოქის ღრმა ცოდნით და დახვეწილი გემოვნებით აღუდგენია მხატვარ ვ. ეგოროვს ძველი მოსკოვის სურათები, კრემლის სასახლის პალატები და სხვა. სტალინური პრემიის ლაურეატის კომპოზიტორ ი. შაპორინის მუსიკა აძლიერებს ფილმის ემოციურ ზეგავლენას.

ფილმი „კუტუზოვი“ საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი მიღწევაა დიადი სამამულო ომის მთელს მანძილზე. ემოციით გაჟღენთილი ეს დიდი მხატვრული ნაწარმოები ესიტყვება დღევანდელ ჩვენს სულიერ განწყობილებას, ჩვენ თვალწინ მკვეთრ სახეებსა და მომენტებში მიმდინარეობს 1812 წლის სამამულო ომის ეპოპეა, როცა რუსეთმა მონახა ძალა გაეძლო მტრისთვის ომის პირველ ნახევარში და დაემარცხებინა ძლიერი დამპყრობელი ომის მეორე ნახევარში. საყოველთაო სახალხო აზვირთების ძლიერმა ტალღამ მიწისპირისაგან აღგავა ნაპოლეონის არმია. ასევე ჩვენს დღეებში მთელმა ხალხმა, რომელიც აზვირთდა საბჭოთა სამშობლოს დასაცავად, გაუძლო მძიმე ბრძოლას ჰიტლერელ ურდოებთან და სტალინის გენიალური ხელმძღვანელობით მიაღწია გადამწყვეტ გარდატეხას ისეთი ომის მიმდინარეობაში, როგორიც არ ახსოვს ომების ისტორიას. ჩვენი ბელადის სტრატეგიას განუხრელად მიჰყავს საბჭოთა მეომრები გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. წითელი არმია მიწის პირისაგან აღგვის უმსგავსო დამპყრობლებს და შეასრულებს ისტორიულ მართლმსაჯულების მრისხანე აქტს“.

„დაჭრილი პარტიზანი“.
ქანდაკება თ. აბაკელიასი.

ილია ზურაბიშვილი

სახელოვანი ქართველი დირიჟორი

(ვ. ფალიაშვილის გარდაცვალებიდან ათი წლისთავის გამო)

ვანო ფალიაშვილი ქართული მუსიკალური ხელოვნების უშესანიშნავესი ოსტატი იყო.

ისე, როგორც ვანო სარაჯიშვილი მღერაში, ვანო ფალიაშვილიც დირიჟორობაში, იშვიათი მუსიკალობის გარდა, ბუნებისაგან მგზნებარე ტემპერამენტით იყო დაჯილდოებული.

ეს კი დიდი მადლია.

ვრცელი იყო მისი შემოქმედების სარბიელი.

არ მოიპოვება მთელ რუსეთში ისეთი ქალაქი, სადაც საოპერო თეატრი არსებობდა, ან საოპერო გასტროლები იმართებოდა, რომ იქ სხვადასხვა დროს ვანო ორკესტრის შეფად არ ყოფილიყო, ხან რამდენიმე სეზონობით ზედიზედ, ხან საგასტროლოდ მისულ დასში.

ოდესა, კიევი, ხარკოვი, რიგა, ვარშავა, ნიჟნი-ნოვგოროდი (გორკი), ორენბურგი (ჩკალოვი), სამარა (კუიბიშევი), როსტოვი — ეს ისეთი ქალაქებია, სადაც ოპერის თეატრები მთელი სეზონობით მოქმედებენ. და ამ ქალაქთა გაზეთების რეცენზიები თითქმის ყოველთვის ვანოთი იწყება და ზოგჯერ ვანოთივე თავდება, როდესაც რეცენზენტი კვლავ უბრუნდება „ნიჭიერ დირიჟორს“.

და ყველგან, სხვა მრავალ ღირსებასთან ერთად, რეცენზენტები მუდამ აღნიშნავენ მის მგზნებარე ტემპერამენტს, რომლის მეოხებითაც ხანდახან რიცხვმცირე ორკესტრმა შეუძლებელიც კი შესძლო.

ხსენებულ ქალაქების სხვადასხვა გაზეთის რეცენზენტები თითქო ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ვინ უფრო დიდ ხოტბას შეასხამს დირიჟორ ფალიაშვილსაო. აი, მოკლე ნაწყვეტები ზოგიერთი რეცენზიიდან.

„...ბ-ნ ფალიაშვილზე უნდა ვთქვათ, ან განვიმეოროთ უკვე ნათქვამი, რომ მას, როგორც ყოველთვის, დიდი აღმაფრენით და ტემპერამენტით მიჰყავდა თავისი ორკესტრი“.

„...გულხმიერი, მუსიკალობით აღსავსე ტემპერამენტიანი კაპელმეისტერი ფალიაშვილი“.

„უაღრესად ნიჭიერი და საინტერესო დირიჟორი...“.

„...საერთოდ, აღსრულებაში მას შეაქვს ესოდენ დიდი მუსიკალური აზრი და ღვთაებრივი ცეცხლი, რომ უნებურად იტაცებს საზოგადოებას ინტერპრეტაციის ცხოველმყოფელობით“.

„...უნდა ვიფიქროთ, დასს სერიოზული წარმატება ექნება, მით უფრო, რომ დირიჟორის პულტთან იქნება ისეთი მცოდნე და ჭკვიანი მაესტრო, როგორიც ივანე პეტრეს-ძე ფალიაშვილია“.

„...ფალიაშვილმა გამოიჩინა არა მარტო კოლოსალური ძალა და ორკესტრის დაუფლების უნარი, არამედ აგრეთვე დიდი მუსიკალობა. საერთოდ, იგი გამოცდილი და ნიჭიერი დირიჟორია, იშვიათი პროვინციისათვის და ღირსი ჰმართოს არა ასეთი მცირე რიცხვიანი ორკესტრი, როგორიც ამ დასსა ჰყავს...“.

„...ნამდვილი მუსიკის ნერვი ხელს უწყობს მის ლამაზ და დახვეწილ ნიუანსირებას“.

„...მისი გრძნეული ჯოხის მეოხებით ორკესტრი მშვენიერ სურათებს ხატავდა, იგი იყო ცხოველმყოფელი და აღმაფრთოვანებელი“.

„...მის გრძნეულ ჯოხს აქვს, რაღაც განსაცვიფრებელი ძალა. იგი ნარნარით ზეადის და ეშვება, თითქო კმაყოფილი, რომ მას ემორჩილება ყველა საკრავი“.

* * *

ვანო სარაჯიშვილზე ამბობდნენ, თავისი მღერით, თითონაც იწვის და სხვასაც სწვავსო.

ვანო ფალიაშვილიც ასე იყო: როდესაც იგი სადირიჟორო პულტთან მოქმედებდა, გეგონებოდათ, რომ საკრავებიდან მომდინარე ხმები ჯერ მის არსებაში იბადებოდნენ და მხოლოდ შემდეგ მისი. მართლაც, რომ გრძნეული ჯოხის მეშვეობით უხილავ სხივებად მიგელავდნენ საკრავებამდე და იქიდან მოისმოდნენ, ვით მისი გულის ანარეკლი გამოძახილი.

მისი ესა თუ ის მოძრაობა არ იყო მარტოოდენ ფიზიკური კატეგორიის აქტი, არამედ იგი გააზრებული გრძნობის გარეგანი ნიშანი იყო. და მას ყოველთვის თან მოსდევდა ორკესტრისა თუ ცალკეული საკრავის შესაბამი ხმოვანება, ფორტე ან ფორტისიმო იქნებოდა იგი, თუ პიანო ან პიანისიმო.

და მასთან ერთად აგზნებული, როგორც ამ მხატვრული სილამაზის განცდაში თანამოზიარე, თქვენ უნებურად ივიწყებდით, რომ ეს მხატვრული სილამაზე შექმნილია ჯუზეპე ვერდის მიერ და არა ამ, შავ ფრაკში გამოწყობილი ადამიანის მიერ, იმდენად იყვნენ ისინი თქვენ წარმოდგენაში გაიგივებულნი, ვით ზემოქმედი თანამესაიდუმლენი.

ასევე იყო „ჰუგენოტებში“. ასევე იყო „აბესალომის“ მესამე მოქმედების ანსამბლში, ასევე იყო დირიჟორისათვის არც თუ აგრერიგად საინტერესო „ტრავიატაში“, რომელსაც იგი დირიჟორობდა მესამე მოქმედების ანსამბლისათვის და დიდი ექსპრესიითაც. მაგრამ საგულისხმიერო ის არის, რომ სხვადასხვა ოპერის ძლიერი მომენტების ინტერპრეტაციას ვანო ფალიაშვილი იძლეოდა ამ ოპერების საერთო და ცალკეული მომენტების შინაარსისა და სტილის შესაბამისად, მათი დამახასიათებელი ფერადებით. ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რა დიდი მუსიკალობისა და დახვეწილი გემოვნების პატრონი იყო იგი და რა ღრმად იხედებოდა მუსიკალური ნაწარმოების დედააზრსა და ფორმაში.

ძლიერი სულიერი აღძრულობა მარტო დიდი ხმოვანებით არ გამოითქმის. ხანდახან იგი სახიერდება უაღრეს ხმამიბნედილობით. და აქაც განსაცვიფრებელი იყო მისი პიანოპიანისიმო, რომელსაც ერთ-ერთი რეცენზენტი „ჰაეროვანს“ უწოდებს.

ამ მხრივ არ შეიძლება არ გავიხსენოთ „აბესალომისავე“ უკანასკნელი მოქმედების ხოროს ხორალური საგალობელი „მათი სული, ქვეყნად ერთი“. ამ რელიგიური სახის საგალობელში, რომლებსაც სრულიად არა აქვს ექსტატური ხასიათი, არამედ იგი თითქო გარინდებაა დიდი ტრაგედიის წინაშე, ვანო ფალიაშვილი აღწევდა ისეთ ხმამიბნედილ, მაგრამ თანაც ემოციურად ესოდენ ძლიერად მეტყველ ხმოვანებას, რომ უნებურად სულთქმა გეკვროდათ. აი აქ მისი მარცხენა ხელის მტევანი ისე ნაზად, სათუთად ირხეოდა, თითქო ცდილობდა ჰაერიც კი არ მიჰკარებოდა საგალობლის თვითეულ ბგერას; თავისთავად ამ შესანიშნავი მუსიკალური ფრაზის გარდა, თვით დირიჟორის დაძაბულობა და ხელის სახიერი მოძრაობა მრავალმეტყველ სულიერ განწყობილებას ქმნიდა სცენაზედაც და დარბაზშიაც.

კიდევ ერთი შესანიშნავი თვისება მისი, როგორც ოპერის დირიჟორისა.

ვანო ფალიაშვილი უებრო აკომპანიატორი იყო, აკომპანიატორი ორკესტრით.

მომღერლები მას „კეთილმყოფელს“ უწოდებდნენ და სამართლიანადაც. ისე არავინ ერკვეოდა მომღერლის ინდივიდუალობაში და ისე არავინ უხამებდა ორკესტრის ხმოვანებას მომღერლის ხმას, როგორც იგი.

და საკვირველი ის იყო, რომ ამავე დროს არც ორკესტრის ინტერესებს ღალატობდა. აკომპანიმენტის დროს იგი ცდილობდა არამც თუ მომღერლის ხმა არ დაეჩრდილა ორკესტრის ხმაურით, არამედ ყოველი საშუალება მიეცა მისთვის გამოემჟღავნებინა, თუ რამ მადლი გააჩნდა. ხოლო საორკესტრო ფერადების გამოსავლინებლად იგი ოსტატურად იყენებდა რიტურნელებსა და პაუზებს სიმღერის დროს. მუსიკალურ პედანტიზმს მოკლებული, იგი არ უკრძალავდა მომღერალს — გაეგრძელებინა ნორმალურზე მეტად რომელიმე ეფექტიანი ფერმატა ან ჩაერთვა ეგრეთწოდებული ზედნართი ნოტა, თუ ეს ლამაზად გამოდიოდა.

მაგრამ ყოველსავე ამას იგი მხატვრული ზომიერების ფარგლებში იწყნარებდა და არავითარ თვითნებურ გაქანებას მომღერლისას არ იგუებდა.

ვანო ფალიაშვილს ორი გარეგანი ბუნება ჰქონდა: ჩვეულებრივი და არტისტული. თუ ჩვეულებრივ ცხოვრებაში მის შუათანა, საკმაოდ ჩასხმულ ფიგურას სხეულის სისხარტე და მოქნილობა არ ემჩნეოდა, ხოლო ფრიად ლამაზ სახეს დიდი აღმაფრენის ბეჭედი არ ესვა, — სამაგიეროდ სადირიჟორო პულტთან ერთიც და მეორეც მას უხვად ევლინებოდა.

შემოქმედების წმინდა ცეცხლით აღგზნებული იმ წამს იგი ნამდვილი შემოქმედი იყო — იგი იჩენდა სხეულის ისეთ მოქნილობას, მოძრაობის ისეთ ელასტიურობას და სახის ისეთ ოქროპირულ მეტყველებას, რომ თავისი სულ-ხორცის ძალთა სრულ გარდაქმნას აღწევდა.

ბენო ჟღენტი

ისტორიის მებრძოლი სული

(წერილი მეორე)

> „შორეული წარსული ჩვენ გვაინტერესებს არა მარტო იმიტომ, რომ იგი ოდესღაც არსებობდა. ისტორიული შინაარსი ჩვენია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ საერთოდ შევსძლებთ განვიხილოთ თანამედროვეობა, როგორც შედეგი იმ მოვლენებისა, რომელთა ჯაჭვშიაც გამოხატული ხასიათები ან საქმენი არსებით რგოლს შეადგენენ. რადგან ბოლოს და ბოლოს იმისათვის, რომ წარსული ახლობელი გახდეს ჩვენთვის, საჭიროა, რომ თვით წარსული ჩვენი საკუთარი ხალხისა უფრო ახლო კავშირში იყოს თანამედროვე პირობებთან და ცხოვრებასთან“.
>
> ჰეგელი „ლექციები ესთეტიკაზე“.

უშიშარი მხედართ-მთავრის და დიდი სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე მეორის პიროვნება, როგორც ხორცშესხმული სიმბოლო საქართველოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის გმირული თავგანწირულებისა, უცხოელ დამპყრობელთა წინააღმდეგ დაუცხრომელი ბრძოლისა და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მისწრაფებისა დიდ რუს ხალხთან ძმური კავშირის და საბრძოლო თანამეგობრობისაკენ, განსაკუთრებით აქტუალური და ცხოველი ინტერესის შემცველი გახდა ეხლა, როდესაც დიდი რუსი ხალხის მეთაურობით შემჭიდროებულ საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში აღორძინებული საქართველო თავის საუკეთესო შვილთა სისხლით იცავს თავის ნაციონალურ არსებობას ეხლანდელი გიგანტური ბრძოლის ფრონტზე.

ამიტომაც სავსებით ბუნებრივია ის ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი, რომელსაც იწვევს მეფე ერეკლე მეორისადმი მიძღვნილი დრამატიული ნაწარმოებები: ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ და სანდრო შანშიაშვილის „კრწანისის გმირები“. ხსენებულ პიესებს თავიანთი გარკვეული ღირსებები აქვთ, როგორც ხელოვნების ნაწარმოებთ. ამ ღირსებათა გარეშე ისინი ვერ მოიპოვებდნენ იმ საზოგადოებრივ გამოხმაურებას, რომლითაც დამსახურებულად სარგებლობენ ამ პიესების განმასახიერებელი სპექტაკლები ჩვენს საუკეთესო დრამატიულ თეატრებში.

მაგრამ ამასთანავე ორივე ამ ისტორიულ დრამას უაღრესად მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი ახასიათებენ, განსაკუთრებით ისტორიული სიმართლის გაგებისა და გააზრების, მისი სწორად ასახვისა და ჩვენი თანამედროვეობის დამახასიათებელი თვალთახედვით განსახიერების მხრივ.

(„ლიტ. და ხელოვნ.“ მე-2 გვ.)

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ამ ღირსება-ნაკლთა გარკვევა და დახასიათება არა მარტო ხსენებულ ნაწარმოებთა კრიტიკული შეფასების მიზნით (მათ უკვე მიიღეს თავის დროზე შესაფერი შეფასება ჩვენს პრესაში), არამედ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში და, კერძოდ, დრამატურგიაში ხალხის წარსულის მხატვრულად აღდგენისა და განსახიერების ამოცანასთან დაკავშირებული შემოქმედებითი პრობლემების განსახილველად.

* * *

ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“ უმთავრესად ასახავს ერეკლე მეორის მოღვაწეობის ერთ-ერთი ძირითად მხარეს — რეაქციული თავადობის ასალაგმავად, ქვეყნის მთლიანობის მისაღწევად, მძლავრი ცენტრალისტური სახელმწიფოებრივი წყობილების შესაქმნელად წარმოებულ ბრძოლას. რამდენადაც ერეკლეს ეს შინა-პოლიტიკური გეზი განუყოფლად იყო დაკავშირებული მის დიდ ბრძოლებთან უცხოელ თავდამსხმელთა წინააღმდეგ, დრამატურგსაც შეუძლებლად მიუჩნევია თავის პიესაში სავსებით გაეთიშა ერთმანეთისაგან მეფე ერეკლეს მოღვაწეობის ეს ორი ძირითადი სფერო და რომელიმე მათგანი სრულიად იზოლირებულად გაეხადა თავისი თხზულების საგნად. ამიტომ დრამის პირველსა და უკანასკნელ სურათებში ავტორი გვიხატავს ქართლ-კახეთის სოფლებში მოთარეშე ლეკთა ურდოების ასალაგმავად თუ თავრიზის მფლობელის აზატ-ხანის თავდასხმისაგან საქართველოს დასაცავად წარმოებული ბრძოლების სურათებს. მაგრამ ამ სცენებს პიესაში დაქვემდებარებული, ექსპოზიციისა თუ ფინალის მდგომარეობა აქვთ მიკუთვნებული. თვით დრამის სიუჟეტი-კი, პიესაში ასახული დრამატიული მოქმედება გაშლილია იმ მძაფრ წინააღმდეგობათა და შეჯახებათა ფონზე, რომლებსაც ადგილი ჰქონდათ, ერთის მხრივ, იმდროინდელი პროგრესიული საქართველოს მესვეურის ერეკლესა და მეორეს მხრივ — ფეოდალური რეაქციის ბანაკს, კერძოდ, „მარკოზაშვილის დარბაზელებს“ შორის.

მეფე ერეკლესა და მის მოქიშპე, ტახტის მაძიებელ პაატა ბატონიშვილს შორის წარმოებული ბრძოლის ისტორია წარმოადგენს ლ. გოთუას პიესაში განვითარებული დრამატიული მოქმედების საფუძველს. მაგრამ ეს ისტორიული ამბავი, ეს უაღრესად საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის კოლიზია დრამატურგს ორგანიულად დაუკავშირებია თავის ნაწარმოებში საკუთარი ფანტაზიით შეთხზულ პირად ინტიმური ხასიათის თავგადასავალთან — ბესიკ გაბაშვილისა და ანა ბატონიშვილის რომანიული ურთიერთობის საბედისწერო ამბავთან.

მხატვრულ ნაწარმოებში საზოგადოებრივ მოვლენათა და პირად ინტიმური ცხოვრების დრამის ურთიერთ დაკავშირების მხრივ, ისტორიული ფაქტოლოგიისა და მწერლის პოეტური ფანტაზიით შექმნილ სიტუაციათა ერთმანეთთან შერწყმის მხრივ „მეფე ერეკლეს“ ავტორმა საგრძნობ წარმატებას მიაღწია და ამაში გამოიხატა პირველ ყოვლისა მისი, როგორც დრამატიული ჟანრის მწერლის, უეჭველი ნიჭი. ეს ორი ხაზი პარალელურად კი არ ვითარდებიან დრამაში, ისინი კი არ ჩრდილავენ და ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს, არამედ ავსებენ, ანაყოფიერებენ, განაპირობებენ ურთიერთს, და ისე ორგანიულად ექსოვებიან, ისე ბუნებრივად გადადიან ერთმანეთში, რომ მათი გათიშვა, ერთმანეთისაგან გამოყოფა შეუძლებელი იქნება დრამის მთელი აგებულების დაურღვევლად. ეს არის ამ ნაწარმოების უდავო ღირსება კომპოზიციის, ფაბულის გამოკვეთილობისა და მწყობრი აღნაგობის მხრივ. ეს „გამოგონილი“ სიტუაციები ისე ოსტატურად არიან შეფარდებული ისტორიულ ვითარებასთან, რომ ისინი სავსებით შესაძლებლად და დამაჯერებლად გვეჩვენებიან. სწორედ ამგვარად უნდა მოქმედებდეს პოეტური ფანტაზია ისტორიული ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებში. ილია ჭავჭავაძე სწერდა: „დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარი ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩაასკვნას, ჩაჰსახოს და დრამის სვლაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობლად და დასანახავად“.

ჩვენ ქვემოთ შევეხებით საკითხს იმის შესახებ, თუ რამდენად შესძლო „მეფე ერეკლეს“ ავტორმა „ისტორიული ღირსება“ მიენიჭებინა თავისი პიესისათვის. ამ შემთხვევაში ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ დრამატურგის უნარს თავისი ფანტაზიის მიერი ელემენტის განუყოფლად და მხატვრული სიმართლით შედუღებისა დრამაში ასახულ ისტორიულ-საზოგადოებრივ მოვლენებთან.

ლევან გოთუამ თავის ამ პირველ, ასე ვთქვათ, სადებიუტო ნაწარმოებში გამოიჩინა დრამატიულ სიტუაციათა დასახვისა და დასასაბუთებლად მათი განვითარების ოსტატობა. გავიხსენოთ ბესიკისა და ანას ტრფიალების სცენა პაატა ბატონიშვილის ბაღში, სადაც მიჯნურნი შემთხვევით ყურს მოჰკრავენ პაატასა და პატრი ნიკოლას საუბარს ერეკლეს დასაღუპავად მოფიქრებულ ვერაგული გეგმის შესახებ. მთელი ეს სურათი ღრმა დრამატიზმით, ფსიქოლოგიური დაძაბულობით და შინაგანი დინამიკით არის აღბეჭდილი, ისევე, როგორც სცენა დარბაზობისა ერეკლეს სასახლეში, ან კიდევ სურათი ერეკლეს საუბრისა სიკვდილით დასასჯელად გამზადებულ პაატა ბატონიშვილთან და ბესარიონ გაბაშვილთან.

ლევან გოთუა გვიხატავს თავისი პიესის გმირთა შინაგან დრამას, გვიჩვენებს თავის პერსონაჟებს ისეთ სულიერ ვითარებაში, როცა მათ არსებაში ერთმანეთს შესჯახებიან თანაბრად მძლავრი, მაგრამ ურთიერთ-საწინააღმდეგო გრძნობები და მისწრაფებანი. ასეთია ამ პიესაში მდგომარეობა ბესიკისა, რომელსაც თავდავიწყებამდე უყვარს ანა, ასული მოღალატე პაატა ბატონიშვილისა და ამ ნიადაგზე მის ბუნებაში ერთმანეთს ებრძვიან გრძნობა მიჯნურობისა და შეგნება წმინდა პატრიოტული მოვალეობისა, ერეკლესადმი ერთგულებისა. ასეთ მდგომარეობაშია ანაც, რომელსაც უანგაროდ უყვარს სამშობლოც, ბესიკიც, მეფე ერეკლეც, მაგრამ იგი ერის მოღალატე პაატას ასულია და ეს გარემოება ურღვევს ამ სპეტაკ, მაგრამ უმწეო არსებას სულიერ სიმშვიდეს და წონასწორობას. ამგვარ შინაგან წინააღმდეგობას დროებით მაინც განიცდის თვით ერეკლეც, რომელიც თავისი ხალხისა და სახელმწიფოს კეთილდღეობის კარნახით იძულებულია სიკვდილით დასაჯოს თავისი მახლობელი ნათესავები. ბრძენი მეფე და ლმობიერი გულის ადამიანი ებრძვიან ერთმანეთს ერეკლეს არსებაში და ბუნებრივია, რომ ეს ბრძოლა მთავრდება იმგვარად, როგორც ეს შეეფერებოდა ერის ღირსეულ მესვეურსა და ხელმძღვანელს.

ყოველივე ეს დიდ ემოციურ ძალას აძლევს ლ. გოთუას პიესას, რომელიც მთელ რიგ მომენტებში მაყურებლის წრფელ მღელვარებას იწვევს, მიუხედავად იმისა, რომ პიესაში გვხვდებიან მელოდრამის ელემენტებიც, ზერელე და სწრაფ წარმავალი ეფექტის გამომწვევი ეპიზოდებიც.

პიესა მდიდარი და მხატვრულად დამუშავებული ენით არის დაწერილი, ავტორი თავისუფლად ფლობს დრამატიულ დიალოგის ხელოვნებას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამ ჟანრის მწერლობაში.

ყოველივე ეს ცხადჰყოფს ავტორის მხატვრულ პოტენციას და ნიჭიერებას, სწორედ სპეციფიურ დრამატურგიულ ნიჭიერებას. და თუ ამის მიუხედავად, მან „მეფე ერეკლეს“ სახით ვერ მოგვცა სრულფასოვანი ისტორიული დრამა, ვერ მიანიჭა „ისტორიული ღირსება“ თავის პიესას, ვერ „ჩაასკვნა და ჩაჰსახა“ მის მიერ გადაშლილ მოქმედებაში „სული და გული ეპოქისა“, ეს იმიტომ, რომ მან ანგარიში არ გაუწია ისტორიულ სიმართლეს, რითაც არა მარტო შეზღუდა თავისი ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულება, არამედ უაღრესად შეაფერხა მისი იდეური თანახმოვნება ჩვენს გმირულ, მებრძოლ თანამედროვეობასთან.

დავიწყოთ იმით, რომ ავტორი ყოველგვარი საჭიროების გარეშე უხეშად არღვევს ისტორიულ ფაქტოლოგიას, ერთმანეთში ურევს საყოველთაოდ ცნობილ ისტორიულ თარიღებს და მოვლენებს. მაგალითად, პიესაში პაატა ბატონიშვილი გამოყვანილია საქართველოზე ამხედრებულ აზატხანის აგენტად, მაშინ, როდესაც პაატა ბატონიშვილის ოპოზიციას ისტორიულად არავითარი კავშირი არა ჰქონია აზატხანთან — პაატას ბრძოლა ფეოდალური რეაქციის ოპოზიციის ისეთ ნაირსახეობას წარმოადგენდა, როდესაც გარეშე ძალებზე დამყარების იმედები მათ გაუქარწყლდათ და სწორედ ამიტომ დაადგნენ ტერორის გზას, მეფისა და მისი ოჯახის, მისი ერთგული თანამებრძოლების გაწყვეტის განზრახვას. პაატას მეთაურობით მოწყობილი მოღალატური შეთქმულება ეკუთვნის უფრო გვიან ხანას, ვიდრე აზატხანის შემოსევა იყო და ამიტომაც შეთქმულთა დასჯის შემდეგ ერეკლეს გალაშქრება აზატხანის წინააღმდეგ ერევნის მიდამოებში, ყოვლად გაუგებარი ანაქრონიზმია, ასევე გაუგებარია ბესიკის მონაწილეობა აზატხანის წინააღმდეგ ბრძოლაში, როდესაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბესიკი სწორედ იმ წელიწადს დაიბადა, როდესაც აზატხანის ურდოები საქართველოს შემოესივნენ. მით უფრო გაუმართლებელია პიესაში ნაჩვენები მონაწილეობა რუსთა ჯარისა აზატხანის წინააღმდეგ ერეკლეს მიერ მოწყობილ ლაშქრობაში. ისეთ ისტორიულ ნაწარმოებში, რომელშიაც აღძრულია პრობლემა ერეკლეს საგარეო პოლიტიკური ორიენტაციისა, შეუძლებელია ასე თვითნებურად მოვეპყრათ იმგვარ ისტორიულ ფაქტებს, როგორიც იყო რუსის ჯარის პირველი შემოსვლა საქართველოში.

საკითხავია, რა კანონზომიერება, თვით დრამის სიუჟეტის რა მოთხოვნა ან, მით უფრო, რა იდეური მიზან-განზრახვა აიძულებდა ავტორს დაეშვა ასეთი ანაქრონიზმები თავის პიესაში, მოეხდინა ისტორიულ ფაქტებისა და თარიღების ასეთი აღრევა? შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ არავითარი. რა საჭირო იყო აქ საერთოდ აზატხანის შემოსევის ისტორია? განა ცოტა ომი ჰქონდა ერეკლეს, რომ ავტორს აერჩია ისეთი საბრძოლო ეპიზოდი, რომელიც ქრონოლოგიურად დაემთხვეოდა მეფის წინააღმდეგ „მარკოზაშვილების დარბაზელების“ ბრძოლის წლებს, რათა ამასთან დაკავშირებული ფაქტები და თარიღებიც ლოღიკურად დალაგებულიყვნენ?

ისტორიულ სიმართლეს ეწინააღმდეგება აგრეთვე ის ინტერპრეტაცია, რომელიც მიუცია ავტორს პიესაში ასახული ბრძოლის შინაარსისათვის. ერეკლე და პაატა ბატონიშვილი აქ განასახიერებენ ორს, ერთმანეთის საწინააღმდეგო ორიენტაციას საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის სფეროში. ნამდვილად კი პაატა ბატონიშვილის მეთაურობით მოწყობილ მუხანათურ შეთქმულებას არა ჰქონდა ასეთი იდეური საფუძველი, იგი არ ეყრდნობოდა რაიმე გარკვეულ ისტორიულ პერსპექტივას, რაიმე გარკვეულ პოლიტიკურ გეზს, გამომდინარეს ერის მომავლის ასეთი თუ ისეთი განჭვრეტისაგან.

(დასასრული მე-4 გვ.)

მალიკო მრევლიშვილი

ქართული სასცენო მეტყველების საკითხები

წერილი მეორე.

ამ ჟამად მკითხველის ყურადღება ჩვენ გვინდა შევაჩეროთ მახვილის ხმარების საკითხზე. როდესაც ჩვენს სპექტაკლებს ვესწრებით და ჩვენს მსახიობებს ვუსმენ, ხშირად ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ზოგიერთი მსახიობი მახვილს იმიტომ ხმარობს, რომ თავისი გულისჯავრი იყაროს სიტყვაზე, იგი ერთბაშად ეცემა, ეკვეთება რომელიმე სიტყვას, აისვრის მაღლა და დაანარცხებს ძირს. მესმის, რომ ასეთ ხერხს მიმართოს მსახიობმა და იგი შეიძლება მეტად ეფექტიურიც გამოდგეს რომელიმე საგანგებო შემთხვევაში, მაგრამ როდესაც ასეთი ხერხი ჩვევად გადაიქცევა, ამაში მეტყველება მახინჯდება. მსახიობების გარდა, არ შეგვიძლიან აქ არ გავიხსენოთ და არ ვუსაყვედუროთ ზოგიერთ ჩვენ ორატორს, რომელიც ქართულ მახვილს დაუკვირვებლად ეკიდება.

ქართული მახვილი ძირითადად მდორეა. შეტევა, ჯახება არ უხდება ქართულს. ვერ გავიზიარებ ჩვენი თეატრის ზოგიერთი მოღვაწის აზრს, თითქოს ქართულში მახვილი არ იყოს, არ ისმოდეს, იგი მხოლოდ იგულისხმება, ქართულ სიტყვას მახვილი დასაბამიდან აქვს. ეს საკითხი სხვათა შორის გამორკვეულია თეატრის გარეშე და საკამათო არ გახლავთ. ხოლო რაც შეეხება განცხადების მეორე ნაწილს, რომ იგი „მხოლოდ იგულისხმება“, ეს კი სავსებით გაუგებარია, მახვილი თავის-თავად ხმიერების, ბგერობის მოვლენაა და რა აზრი უნდა ქონდეს გამოუმჟღავნებელ ხმიერებას? როგორ შეიძლება მხოლოდ ვიგულისხმოთ ის მელოდია, რომელიც სხვას გვინდა მოვასმენინოთ, ე. ი. ხმით გადავცეთ? ასეთივეა სამეტყველო მელოდია. საკმაოა შევუცვალოთ სიტყვაში სწორად დასმულ მახვილს ადგილი და დაინახავთ, უკეთ — გავიგონებთ, თუ რამდენად აქტიურია მახვილი ქართულ სიტყვაში. (აქტიურობა არ ნიშნავს, არ უდრის მკვეთრობას). განსაკუთრებით აქტიური ხდება მახვილი მაშინ, როდესაც სიტყვა ლოგიკური ცენტრის მატარებელიც არის. ლექსისთვის, წყობილ სიტყვაობისთვის ხომ მახვილს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, როგორც მის რიტმული ქსოვილის მომწესრიგებელს. ქართულ ლექსს კი მრავალი საგანძურით შეუძლია იამაყოს. მაშასადამე, ქართულ სიტყვაში მახვილი ისმის, სადაოა მხოლოდ მისი მკვეთრობის დონე სხვადასხვა შემთხვევაში. უკიდურესობა, გადაჭარბება არ გამოდგება არც ერთ შემთხვევაში. მახვილიან მარცვლის წამოსროლა, შეგდება (მით უმეტეს, თუ სათანადო მარცვალზე არ არის მახვილი) შეუწყნარებელია; როგორც ჩვევა ასევე შეუწყნარებელია და შეუძლებელიც ინტონაციისათვის უმახვილო მეტყველება. მახვილის ხმარების საკითხიც მეტად მნიშვნელოვანი და სერიოზულია სასცენო მეტყველებისათვის.

თუ შევეხებით მეტყველების ფსიქიურ, ინტელექტუალურ მხარეს, დამაკმაყოფილებელ სურათს ვერც აქ მივიღებთ. ტექნოლოგია აქაც საგრძნობლად მოისუსტებს. ჩვენი საშუალო მსახიობისთვის არ არსებობს ის უდაო ჭეშმარიტება, რომ ფრაზა ნედლი მასალაა, რომელსაც დამუშავება სჭირდება. მსახიობი ამუშავებს საზოგადოდ როლს, ამასთან ამუშავებს (ვსთქვათ გულახდილად) სასხვათაშორისოდ, ნაჩქარევად, რეპეტიციაზე — მხოლოდ ხანდახან რეპეტიციაზედაც კი — უყურადღებოდ სტოვებს და სრულებით ანგარიშს არ უწევს იმას, რომ როლის დამუშავებაში მრავალია შავი სამუშაო, მეტწილად საკირკიტო და მძიმე. ასეთი გახლავთ მაგ., ფრაზის ჩამოყალიბება, ლოგიკური პირობების მონახვა, მორგება და მელოდიური გეზის დადგენა. ყველა მსახიობს გაუგონია, რომ არსებობს ლოგიკური მახვილი და ლოგიკური პაუზა—ტექსტის შინაარსის სწორი გამოვლინების ორი ძირითადი იარაღი, მაგრამ ამ იარაღის მოხმარება მეტწილად არ იციან, ან თითქოს არც სჭირდებათ. მაგალითი—პრიმიტივი: „აყვავდი, მწვანე ჯეჯილო“. განა წარმოიდგენს ზოგიერთი მსახიობი, რომ ასეთ მარტივ ფრაზასაც დაფიქრება და გაფორმება უნდა? ვერ წარმოიდგენს, არ დაუფიქრდება და ამიტომ დამშვიდებული სინდისით აამაღლებს ხმას, ასწევს შუათანა სიტყვას „მწვანეს“ და გამოვა აზრის დამახინჯება. ლოგიკური მახვილის უადგილო-ადგილას დასმის შემთხვევები უთვალავია ხოლმე ერთი სპექტაკლის მანძილზე.

ლოგიკური პაუზა ძირითადად ორია — გამთიშავი და შემაკავშირებელი. ერთის მეორეთი შეცვლა დაუშვებელია, ავიღოთ აქაც მაგალითი — პრიმიტივი: „გაზაფხულდა, ბუჩქის ძირას თავს იწონებს ნაზი ია“. გამთიშავი ინტონაციის პაუზა, მოხსნილი სიტყვა „გაზაფხულდა“-ს შემდეგ და გადატანილი სიტყვა „ძირას“ შემდეგ, სცვლის აზრს, გამოდის, რომ ბუჩქის ძირას გაზაფხულდა და არა საერთოდ, ხოლო სიტყვა „ძირას“ შემდეგ საჭიროა სწორედ შემაკავშირებელი პაუზა, რადგან „ნაზი ია ბუჩქის ძირას იწონებს თავს“. ზოგიერთი ჩვენი მსახიობი არც ამ წესს უწევს ანგარიშს. ძალიან ხშირია შემთხვევა, როდესაც მსახიობი პაუზით გაჰკვეთს, გაჰყოფს ორ ისეთ სიტყვას, რომელიც სინტაქსური მთლიანობის ინერციის ძალით თითქმის არასოდეს არ გაითიშება. „თითქმის“ იმიტომ, რომ სასცენო მოქმედების და მეტყველების დროს შეგვხვდება ისეთი ნაკვეთები, სადაც ემოციური დაძაბულობის ძალა ყირამალა დააყენებს არა მარტო ამ წესს, არამედ ყველა ლოგიკურ პირობას, მაგრამ ამჟამად არა გვაქვს საუბარი ასეთ გამონაკლის შემთხვევებზე.

რეჟისორის მიერ კონკრეტული სამოქმედო ამოცანების დადგენის შემდეგ ასეთი დეტალური მუშაობა ტექსტზე, ლოგიკური პირობების მორგება, დაკვირვება, ყოველმხრივი ანალიზი ტექსტისა ფრაზის დადგენისათვის მსახიობს უფრო ღრმად ჩაახედებს ტექსტის შინაარსში, ძალა-უნებურად შეაგრძნობინებს იმ აზრებს, რომლებიც ნამდვილად უნდა გამოითქვას, გააზრებს სიტყვებს, შუქს მოჰფენს ნათქვამს და, მშრალი სიტყვების რახარუხის მექანიკურობისა და ავტომატიზმის ნაცვლად მივიღებთ მსახიობის გონებაში გადახარშული აზრების გახმოვანებას. ამრიგად, მსახიობის სიტყვას ხორცი შეესხმება, სიტყვების ძარღვებში სისხლი ამოძრავდება, მეტყველება გათბება, გაცოცხლდება და მსმენელსაც გაათბობს და დაატკბობს.

ქართველი პარტიზანი კავკასიის დაცვისათვის ბრძოლაში. ქანდაკება ირ. ოქროპირიძისა.



„აბასთუმანი“. სურათი მხატვ. ე. ახვლედიანისა.



„დივერსანტის დაჭერა“. სურათი მხატ. ი. გეპნერისა.

კარლო კალაძე

მოგონება

კავკასიის დამშვიდებულ
მთებზე გადავდიოდი,
მახსოვს, თოვლიც კი არ იყო
მიმოშლილი სიოთი.

ჯიხვის კვალიც კი არ სჩანდა,
წარბის შემაკრთობელი.
ციცაბოთა სიჩუმეში
იდგა მხოლოდ სოფელი.

თითქოს განგებ დამიღამდა,
თქვენი სოფლის ქვემოთა,
რომ ის ერთად-ერთი ღამე
თეთრად გამთენებოდა.

მხედარს კართან მომეგება
თვალი ქართველ ქალისა
და წარბები დათოვლილი
შუქმა გამიხალისა...

მე იმ ღამის დარდი მახლავს,
და ბრძოლაშიც ამ დილით
თქვენი ტანი მომელანდა,
გაფრენილი მანდილით.

მე იმ ღამის თვალებს ვეტრფი,
შორით მოციმციმეთაც,—
ჩრდილოეთში თან დამყვება
გამარჯვების იმედათ.

მახსოვს, თოვლიც კი არ იყო,
მიმოშლილი სიოთი,
კავკასიის დამშვიდებულ
მთებზე გადავდიოდი.

არჩილ გურჯიძე

მეძახის ჩემი მერანი

(მებრძოლის დღიურიდან)

აქ, ჰოსპიტლის თეთრ კედლებში,
აბა როგორ გავჩერდე,
დაო, არწივს ვინ დაამწყვდევს
ქროლვით უნდა გაჯერდეს, —
და მხედარიც მთიდან, ცამდე
ელვას უნდა აჩენდეს.

სადაც ბრძოლის ველებია
და აბჯრების ჟღერანი,
სადაც გმირთა აზავთებით
მტერი დრკება ვერანი, —
იქ ყიჟინებს, იქ დამეძებს
ჩემი ფიცხი მერანი.

კავკასია დამიცვია,
თერგთან ფრანგულს ვფერავდი,
მერე დნეპრის ტალღებამდე
მტერი ვკაფე ვერანი.
აჰა, ახლაც იქ მეძახის
ჩემი ფიცხი მერანი.

ჩემი ხმალი, ჩემი მკლავი
დუშმანმა ვერ გახაროს.
თუნდაც ასჯერ გავიგმირო,
ასჯერ სისხლი დავღვარო, —
ცა გასცუროს თეთრმა მტრედმა
და დედიკოს ახაროს:

— შენი პირმშო არ მომკვდარა,
არც თუ არის ავადა, —
მტარვალს ჰკაფავს, წინ მიიწევს
ქვეყნის დასაცავადა...
დაბრუნდება, გამარჯვებულს
მზეც შეაქებს მარადა.

მაშ, გამიშვი, მე მომარჩენს
ჩემი აბჯრის ჟღერანი,
ძმებთან ერთად აზავთებით
მტერი ვკაფო ვერანი,
იქ ყიჟინებს, იქ მეძახის
ჩემი ფიცხი მერანი!

შალვა ალხაზიშვილი

შენიშვნები კინო-რეჟისორის შემოქმედებაზე

თუ თვალს გადავავლებთ საბჭოთა კინემატოგრაფიის ისტორიულ გზას, უთუოდ იმ დასკვნამდე მივალთ, რომ, მიუხედავად მრავალ უარყოფითი მხარისა, ეგრ. წოდ. „დოკუმენტალიზმმა“ თავის დროზე გარკვეული როლი ითამაშა. ცნობილია, რომ პირველ ხანებში საბჭოთა კინემატოგრაფია ინერციის ძალით ხანჟონკოვის ტრადიციებით საზრდოობდა. „დოკუმენტალიზმმა“ გვერდი აუხვია ამ საკმაოდ ნაცად და გატკეპნილ გზას. სწორედ ამ მიმართულებიდან აღმოცენდა ს. ეიზენშტეინის ეგრ. წოდ. „ინტელექტუალური კინო“. ფაქტიურად ეს იყო ძველი ტრადიციების უარყოფა და სოციალისტური რეალიზმისათვის გზის გაკაფვა. და მართლაც, ს. ეიზენშტეინის „გაფიცვა“ (1925) და მეტადრე „ჯავშნოსანი პოტიომკინი“ (1926 წ.) რეალისტური სურათები არიან, მიუხედავად „ატრაქციონების მონტაჟის“ მეთოდისა.

ნიკოლოზ შენგელაიაზე, როგორც ახალგაზრდა კინო-რეჟისორზე, ს. ეიზენშტეინის „პოტიომკინმა“ უთუოდ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან „პოტიომკინმა“ ახალი ეტაპი შექმნა საბჭოთა კინემატოგრაფიაში და კინო-ახალგაზრდობა ამ სურათზე სწავლობდა. ნ. შენგელაიას „ელისო“ სწორედ ამ ატმოსფერაში იქმნებოდა. „ატრაქციონების მონტაჟი“ უარჰყოფდა კინო-ნაწარმოების აგებას ფაბულის მიხედვით. განსაკუთრებული თემა უშუალოდ ვითარდებოდა რამდენიმე ადგილას კონცენტრირებულ ეფექტურ სიუჟეტურ კვანძებში, რაც მაყურებელზე დიდ ემოციურ გავლენას ახდენდა. მეტად საყურადღებოა, რომ ამ პრინციპის მიხედვით დამზადებული სურათები არა სცილდებოდნენ რეალიზმს. ამას მოწმობენ ისეთი ფილმები, როგორნიც არიან თვით „პოტიომკინი“ და „ელისო“.

ნ. შენგელაია თავიდანვე მარტო პოეზიით არა კმაყოფილდებოდა, იგი ლამობდა ხელოვნების სხვა დარგებში შეჭრას: თეატრში, ცირკში, კინოში. მართალია, მას ნაკლები მიდრეკილება აღმოაჩნდა მხატვრობა-მუსიკისადმი. მის შემოქმედებითს მუშაობაში მთავარი იყო პოეზიის საწყისების შეტანა და დამტკიცება კინოში. ფილმის პოეტურად აგება მეტად დამახასიათებელი თვისება იყო ნ. შენგელაიას ხელოვნებისათვის. სახოვანი გამოთქმა რომ ვიხმაროთ, მისი ხელოვნება წააგავდა მთიდან მოვარდნილ ნაკადს, რომელიც კალაპოტში არ ეტევა და ძვირფას ქვებს ქვიშასა და სხვადასხვა ნარევს მიაყოლებს. ამიტომ არის, რომ ყოველ მის კინო-სურათში, მაღალი ოსტატობის დონეზე მდგარ ადგილების გვერდით, ზოგჯერ კინო-ფილმის და პროფესიული ოსტატობის მხრივ სუსტად ან მოუფიქრებლად განსახიერებული ადგილები გვხვდება.

ნ. შენგელაია უაღრესად კინემატოგრაფისტი იყო—ამ სიტყვის მაღალი გაგებით. მთელი თავისი პოეტური ტემპერამენტი, სულიერი განწყობილება, გამოულეველი ენერგია და დაუღალავი შრომისმოყვარეობა მან საყვარელ საქმეს—ქართულ კინო-ხელოვნების განვითარება-აყვავებას მოანდომა. ჯერ კიდევ გამოუცდელი, მაგრამ დიდი გატაცებით ანთებული ჭაბუკი, ნ. შენგელაია იწყებს მუშაობას კინოში რეჟისორის უბრალო თანაშემწედ, რომელიც ზოგჯერ ტექნიკურ სამუშაოსაც არ ერიდება. ეს სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი გზა იყო ხელოვნების უმაღლეს მწვერვალებამდე ასვლისათვის. ნურავის ჰგონია, რომ ეგრეთწოდებული „შავი სამუშაოს“ შესრულების გარეშე შესაძლებელი იყოს რომელიმე დარგის ოსტატი გახდე, ამის დასამტკიცებლად ადამიანის შემოქმედების ისტორიას უამრავი მაგალითი მოეპოვება.

ნ. შენგელაია თავიდანვე მოხვდა კოტე მარჯანიშვილის მეტად თეატრალურ და მაღალკულტურულ გარემოცვაში. იგი ახალგაზრდული გატაცებით ეწაფება ყველაფერს, რაც-კი დუღს და გადმოდუღს დიდი ხელოვანის შემოქმედებითი ლაბორატორიაში. მართალია, კინო-სურათი „ქარიშხლის წინ“, რომელიც კ. მარჯანიშვილმა დასდგა, არ იყო ამ ხელოვნების დიდი შენაძენი, მაგრამ ნ. შენგელაიასათვის ეს იყო არა მარტო პირველი კინო-დაზვერვა, არამედ საერთოდ ხელოვნებაში მისი პირველი შეჭრა. აქ ნ. შენგელაია მჭიდროდ დაუკავშირდა იმდენად კინო-ხელოვნებას არა, რამდენადაც თეატრალურ გარემოცვას. და როდესაც საბჭოთა რუსეთიდან კინო-სპეციალისტები ჩამოვიდნენ და კინო-აპარატით მიუვალ სვანეთში შეიჭრნენ, ნ. შენგელაია გაჰყვა მათ და სურათ „ძინა-ძაძუს“ გადაღებაში უშუალო მონაწილეობა მიიღო. მაგრამ ნ. შენგელაია იმავე დროს პოეტია და სვანეთის მთების ველურმა სილამაზემ მოაჯადოვა იგი. სვანეთიდან დაბრუნებისას მან სვანეთის შთაბეჭდილებებიდან აღმოცენებული რამდენიმე ლექსი გამოაქვეყნა. ეს იყო გაბედული ცდა მთების რეალური, არა ეგზოტიური, გადმოცემისა, მაშინ, როდესაც ქართულ კინოში გამეფებული იყო კავკასიის მთებისადმი გარეგნული, ეგზოტიური მიდგომა, რაც გამოიხატა ა. ყაზბეგის და მ. ლერმონტოვის ზოგიერთი მოთხრობის ზერელე კინო-ინსცენირებაში. სვანეთში ყოფნამ ნ. შენგელაიას პირდაპირი შემოქმედებითი გზა გაუხსნა „ელისოსკენ“, რომლითაც მან ასე გაითქვა სახელი.

იმ დროისათვის ნ. შენგელაიასათვის ცხადი გახდა, რომ „პოტიომკინის“ შემდეგ არ შეიძლებოდა ბარსკის მეთოდის მიხედვით მუშაობა. შიო არაგვისპირელის მოთხრობის მიხედვით მოცემულ ნ. შენგელაიას კინო-სურათს „გიულის“ უკვე ემჩნევა ეგზოტიურ კავკასიასთან დაპირისპირების მძლავრი ნაკადი. „ელისო“ ხომ ამ მხრივ სრულიად ახალი სიტყვა იყო არა მარტო ქართულ კინოში, არამედ საერთოდ ქართულ ხელოვნებაში.

ბევრი დაიწერა ამ შესანიშნავი კინო-სურათის შესახებ, ბევრი დაიწერება კიდევაც. მაგრამ ერთია ჩვენთვის ცხადი: ნ. შენგელაიას „ელისოს“ მეტი სხვა კინო-სურათი რომ არ მოეცა, მისი სახელი მაინც დარჩებოდა საბჭოთა კინო-ხელოვნებაში, როგორც გამოჩენილი ოსტატისა. არიან ერთი წიგნის ავტორები. ასევეა კინოში: ს. ეიზენშტეინი „პოტიომკინის“, ვ. პუდოვკინი „დედის“ და ნ. შენგელაია „ელისოს“ ავტორები არიან უფრო, თუმცა მათ სხვა არა ნაკლებ საინტერესო სურათები მოგვცეს.

პუდოვკინის „დედა“ და ნ. შენგელაიას „ელისო“ გადაიქცნენ იმის ნამდვილ ნიმუშებად, თუ როგორ უნდა კინოში ლიტერატურული ნაწარმოების ეკრანიზაცია. ამ მხრივ ნ. შენგელაიამ უთუოდ თავისებურად გამოიყენა პოეტური და კინემატოგრაფიული გამოცდილება და ს. ეიზენშტეინის კინო-ატრაქციონებში სამხრეთული ტემპერამენტი შეიტანა იმავე დროს „ელისოთი“ ნ. შენგელაიამ პირველად მოგვცა ქართულ ხელოვნებაში გაბედული ცდა ნაციონალური ფორმის შექმნისა.

ნაციონალური ფორმის ძიებას თავს არ ანებებს ნ. შენგელაია „ნარინჯის ველის“ შექმნის დროსაც, როდესაც იგი კოლექტივიზაციის თემაზე კინო-ეპოპეის შესაქმნელად დაუკავშირდა საბჭოთა ქართულ ლიტერატურაში ყველაზე კინემატოგრაფიულ მწერალს ლეო ქიაჩელს. იგივე პრობლემა აღელვებდა ნ. შენგელაიას, როდესაც შეუდგა კ. ლორთქიფანიძის და ი. მოსაშვილის კინო-ნოველის „ის კიდევ დაბრუნდება“-ს ეკრანიზაციას.

მაგრამ ულმობელმა სიკვდილმა მოულოდნელად შესწყვიტა მისი მღელვარე, სიცოცხლით სავსე ცხოვრება. ნ. შენგელაიას ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო ჩვენი ხელოვნებისათვის. მისი შემოქმედებითი ენერგია ჯერ კიდევ ულეველი იყო. ის იყო ქართული საბჭოთა ხელოვნებისა და კინემატოგრაფიის თვალსაჩინო ოსტატი. ამიტომ მიანიჭა მას საბჭოთა მთავრობამ სტალინური პრემიის ლაურეატის სახელწოდება.

ნიკო ლორთქიფანიძე

ტყვედ ყოფილის დაბრუნება

შორეული აჩრდილები *)

— მართლა, გადასახადებზე არ შეგაწუხესთ?

— არა, შვილო, არა, ღმერთთან სწორი სჯობს: რაც შენ წადი, კაცი არ მოსულა არც ბატონისა, არც მეფისა, არც მღვდლის და მდივანბეგისა. გაგვააზატეს ნამდვილ, მარა შეწყალებით კი არა, იმედი არა ჰქონდათ. მე ასე მგონია ჩემი მოკლე ჭკუით, რამეს აიღებდენ და არც თავი ჰქონდათ მაგისთვის. ყველა კარჩაკეტილი იყო—ზოგს სახადის ეშინოდა, ზოგი არაქათგამოლეული იყო. ჩვენი ბატონები ხომ დასაწყლდენ მთლად ერთიანად: ქალბატონი, რაცხა დაემართა, სახეზე დაპიყვინდა, გასივდა და კიბეზე ვერც კი ჩამოდის, ოთახებში დაბაჯბაჯებს. ბატონი კი გახდა, დაილია, ჩხირივით არის, ღილის შეკვრასაც ვერ ახერხებს. ოღონდ ხანჯალს არ იშორებს ჩოხის შიგნით შემოკრულ ღვედზე. ცოლ-ქმარი სულ ჩხუბობს, სულ აყვედრიან ერთმანეთს, შენო ნამზითვი ფული გაქვს გადამალული, რა დღისთვის ინახავ, საფლავში ხომ არ გინდა ჩაიტანოვო. ელისაბედიც არ ჩამოუვარდება მწარე სიტყვაში და პირში მიახლის თურმე: „საკირია რომ გაყიდე, ესტატე მჭედელი რომ გააზატე, ის ფულები რა უყავიო. შენ ორი ფარა გაგემეტებია, ვინ იცის, ან ხატი გვიშველიდა და ან კაცი. შენი ბრალია ჩემი შვილის დაღუპვაო.

— მართალი უთქვამს ელისაბედს,— შეაწყვეტინა სიტყვა სიკომ,—ძუნწი იყო მაგ სულწამწყდარი, თვარა სხვანაირად წავიდოდა ჩვენი საქმე.

— აჰ, მაგი არაა მართალი შვილო, ახლა მაგის ფული თათრებს დაუშლიდა ომს თუ რავა?

— რავა და კარგად! რომ ხეირიანად შევეიარაღებიეთ, საგზალიც კაი გამოეწყო, არ დავეცემოდით ჩვენზე ბევრად მეტ მტერს და არ შევაკლავდით თავს!

— რავა, სიკო ჩემო, ვერ გავიგე, რას ამბობ?

— რავა და საგზალი შემოგვაკლდა, საყიდლათ ფული არ გვქონდა. ცხენებისა და ხარების საცოდაობამ სულ გაგვახელა... ამ დროს თათრის რაზმს წავაწყდით. ცხვრებიც ჰყავდათ, ქერი და თივაც ბევრი ჰქონდათ. ვიფიქრეთ, მაინც ვიხოცებით, სჯობია დავეცეთ და ნადავლით სული მოვიბრუნოთ-თქვა. ჩვენი ბიჭები ვეფხვებივით ეძგერენ მარა რას იზამ, როცა შენ გრძელ ტარზე წამოგებული ნაჯახითა ხარ ან და დაბლაგული ხანჯლით. იმათ კი შვილდი აქვთ და ისარი, ლეკური და თოფიც-კი. პირველ შეტაკებაზე გავაქციეთ მაინც, მარა მალე შეგვატყეს, რისი შემძლებელიც ვიყავით და ჯერ შორიდან დაგვირთეს თოფი და შვილდ-ისარი და მერე ხელდახელ მოვიდენ. ხმლის ერთი შემორტყმით ჩვენი შუბებისა და ნაჯახების ტარს შუაზე ჭრიდენ და მერე უიარაღო კაცს, რაც უნდოდათ იმას გვიშვებოდენ... შვილის გულისთვის მაინც უნდა გაემეტებია ფული. წაწყდა მაგისი სული მარა ძუნწია, ძუნწი.

— რა იცოდა საწყალმა, თუ ასე მოხდებოდა...

— არ იცოდა! რა ცოდნა უნდა იმას, რომ ომში მიმავალს კაი შეიარაღება უნდა? ფუი მაგის კაცობას! ახლა ნახოს, რა დაემართება! ციხე უნდოდა აეშენებია, „ციხოვანი აზნაური“ რომ გამხდარიყო და ამისთვის არაფერს ზოგავდა. შვილიც გაიმეტა, და ჩვენ რაღა სახსენებელი ვართ! ახლა გახდეს „ციხოვანი აზნაური“ კი არა, ქართლის დიდებული!

— ა, ა, შვილო, წაქცეულ კაცზე მასე ნუ იტყვი... ღმერთი გიწყენს.

— ღმერთი, — ვერ შეიკავა გულში დაგროვილი ბოღმა სიკომ,—ღმერთი! რა უჭირს იმ ღმერთს, უბრძანოს ოსმალოს იქნება თუ სპარსელს, რაჭის ერისთავს იქნება თუ ჩვენ მეფეებს. „გაჩერდი, შენ ტყავში დაეტიე, ნუ აწიოკებ მეზობელს, თვარა ჩემი ანგელოზების რაზმით ნაცარ-ტუტათ გაქცევო“. პატარა კაცებს გვითხრას, „ნუ ქურდობ, საზღვარს ნუ გადაწევ, თორემ რაც გაქ იმასაც გაგიტიალებო“. არა, დამჯდარა ის დალოცვილი და სეირს უყურებს, რავა ვჭამთ ერთმანეთს... თუ გარეშე არ შეგაჯდა ზურგზე, შინაური გაგიჩნდება კბილის მატლად. დადიანი გურულის გლეხებს იჭერს და ჰყიდის, იმერეთის მეფე დადიანს მუსრს ადენს, და ისინი რაა? მამა შვილისთვის ერთ ყურუშს არ იმეტებს, რომ ფათერაკისგან იხსნას. ღმერთი იმ ქვეყანაში მოაწყობს კაი ცხოვრებასო... აქ მოაწყოს, არ ჯობია? ეჰ, ეჰ!

— კაი, შვილო, ნუ გამაგონებ მაინც!...

სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ხელი უფრო სწრაფად ამუშავდა.

— მაინც რას შვებიან სასახლეში? ვეღარ აიტანა სიჩუმე სიკომ.

— გედევანმა დაიჟინა, ბერად წავალო. ბევრი ურჩიეს, უცოდინარი კაცი ხარ, აწი შენთვის სწავლა გვიანაა და მუდამ უბრალო ბერად, მორჩილად დარჩები, წარმატებას ვერ მიიღებო. მაგრამ არავის არ დაუჯერა და კახეთში წასულა უდაბნოს მონასტერში. გელათში ან მარტვილში არ უნდომებია, ჩემიანებთან ახლოა და სოფელ-ქვეყანას ვერ ჩამოვშორდებიო... უფროსი ქალი მუცელს გადაყვა, გობილაძეს რომ ყავდა. მღვდელიცაა ხომ და აზნაურიც, მარა ბებია ქალი ვერ უშოვიათ, მარტოდ-მარტო მოულოგინებია... მომყოლი საშვილეში დარჩა საცოდავს უსათუოდ, და დეიღუპა, მეორე ქალიშვილი ვიღაცასთან შეცდა... სირცხვილით ვეღარ გაჩერდა სახლში და გეიპარა. ამბობენ, ფოთშია და ყავახანებში სტუმრებს ართობსო, — მორიდებითა და კრთომით სთქვა ქალმა.

— არა, დედა, მაგი მართალი არ იქნება: საიდან გეიკვლევდა გზას და საიდან მოაგონდებოდა ასეთი უცნაური საქმე? — შეეკამათა სიკო; ტკეჩის ხდა შეაჩერა, ხელები მუხლებზე დაიწყო და ცნობისმოყვარეობით შეაჩერდა დედას.

— რა ვიცი, შვილო... ამასწინათ ქალბატონმა დამიბარა, და იქ ყველაფერი დაწვრილებით მიამბო გამდელმა. საწყალი გულამოსკვნილი ტიროდა.

— უცნაურია, ჯერ ასეთი ჩვენში არაფერი გამიგონია.

— ეშმაკი რო შოუჯდება, შვილო. კაცს, ყველაფერს ასწავლის.

— რად გიძახოდა ქალბატონი, რა მინდაო?

— ლეიბები გამიკეთეო ვითომ, მარა რა გამეკეთებია ახალი! ისევ დახეული შალითები მივაკერ-მოვაკერე, ძველი ბამბა ავჩეჩე და გავპენტე... ორი ლეიბი და ერთი საბანი... არც ცოლს ჰქონდა ლეიბი და არც ქმარს. მარა რაც იქ ვნახე — მტრისას!

— ჩვენზე უკეთ მაინც იქნებიან,— ჩაილაპარაკა სიკომ.

— სულაც არა, შვილო, რომ გაგვიჭირდება, ჯიჯლაყას მაინც მოვკრებთ და მოვხარშავთ. იქ კი, ორი ფარეშია, გამდელი და გოგო, მარა სადილს იქნებ საღამოს ეღირსონ და ისიც ნახევარი ჭადი და ერთი მუჭა ლობიო და ან ორიოდე კვერცხი. ნაგავი მუხლებამდე ყრია, ყველაფერი ტალახშია. ააშენა ღმერთმა, მაინც ორი ქსარი მატყლი მომცა და ერთი კარანჩხა ყაჰი — აი ახლა რომ ვართავ ის... მატყლიდან მინდა, თუ გამოვიდა, საკაბე მოუქსოვო ნინოიას. მეთოთხმეტეში გადადგება ახლა და ერთხელ არ ჰქონია მთელი ტანი დაფარული. თუ არ მეყო, ბამბას შეურევ და მაგას კი ერთს შევმოსავ ჩემი ხელით და მერე თქვენ იცით.

გოგონა სიხარულით აენთო.

* * *

— სად მოჭერით ეს ჭოკები?

— ჩვენი ყანის ბოლოში, საწყალ გლახუას საზღვარზე.

— რატომ საწყალი, რა დაემართა?

— შენს მტერსა და ავს, რაც მას დაემართა: ერთი შვილი, ამბობდენ, მოუკლესო. შენ უკეთ გეცოდინება მისი ამბავი, თქვენთან იყო და არ მოსულა.

— მოკლეს საწყალი, — დაუდასტურა სიკომ. კაი კაცი იყო, აცხონოს ღმერთმა!

— მეორე შავმა ჭირმა მოუკლა, მესამე ოდიშში წავიდა, იქ მწყემსად დადგომია ვიღაც მარღანიას ორი წლით. ღვთისნიერი კაცი ყოფილა ის მარღანია და ჯამაგირში ოცი მეწველი თხა მიუცია და ათი სანოგრო ღორი. მოდინიდა თურმე გახარებული, დავსახლდი კაციო. გზაზე გურიელის მოთარეშეებს გადაყრია. პირუტყვები პირუტყვად წაუყვანიათ და ის ტყვედ. აქ ერთი ბებერი მეგრელი ჩამოვიდა, მან გვიამბო ყველაფერი დაწვრილებით. ბებერი ტყვედ აღარ წაეყვანათ, ამას ვერ გავასაღებთ, ტყუილა ბარგად აგვეკიდებაო... აქ გამოეგზავნათ შუამავლად და დალალად, ათი ოქრო მოგვეცით და თქვენი ტყვე წაიყვანეთო. ბევრი ჯანჯღლობის შემდეგ ხუთ ოქროსაც კი ჯერდებოდა, მარა გლახუას ხუთი ოქრო კი არა ხუთი გახვრეტილი ფარა არ ჰქონდა არც ჯიბეში და არც ზანდუკში. ის კი არა, შუამავალი, დალალი კინაღამ სიმშილით შემოაკვდა ხელში. საკმაოდ ჭადიც ვერ უშოვა. ნახევარი ჯამი ფქვილი ჩვენც კი მივეცით.

— აბა ჩვენ რა გვქონდა, ვისი მწყალობლები ვიყავით? ასე გინებითა და წყევლა კრულვით წავიდა ის ბერი კაცი... მერე უსათუოდ გაყიდეს ოსმალეთში...

— ვაი ჩვენი ცოდვა! — ჩაილუღლუღა სიკომ.

— უფროსი ქალი სოფიო ხო გახსოვს, ჯიმაგორაში რომ იყო გათხოვილი, მისი მთელი სოფელი შავმა ჭირმა ამოწყვიტა, და ის სოფიო და მისი ქმარიც. უცროსი, შენსობას პატარა გოგო იყო, მშვენიერი ქალი დადგა. შარშანწინ აქ ერთი კალატოზი სამრეკლოს შეკეთებაზე მუშაობდა, გენათელს გამოეგზავნა — შეგეწია მისი ლოცვა-კურთხევა: გენათელს უბრძანებია ჩვენს ეკლესიაზე, „უძველესი ეკლესიაა თამარ მეფის დროის და ასე მიტოვება და გაპარტახება არ შეიძლებაო. წინათ აზნაურები და გლეხები უვლიდენ, ახლა ყველა დაგლახაკდა და ისევ მე უნდა მოუაროვო“, ჰო-და, ის კაცი ახალგორელი იყო, შეირთო და წაიყვანა თავის ქვეყანაში. იქ შარშან, ზამთარში, ორივეს დიდი ბატონები შეჰყრია, — ია და ვარდი ჰფენია მის გზას! — მომვლელი არავინ ჰყოლიათ და ზამთარში, როცა წყალი დასჭირდებოდათ, შეშა თუ კიდევ სხვა რამ, გამოდიოდენ თურმე კარში თოვლსა და ყინვაში. საშინელი ზამთარი იყო... რა თქმა უნდა, გაცივდებოდენ. გაცივებულან და დახოცილან. გლახუაც ჯერ ჯავრმა მერმე ხანმა და გაჭირვებამ დააუძლურა, მუშაობას ვერ ახერხებდა. ახლა გელათის მონასტრის საპყართა თავშესაფარშია თურმე. ხან იქაა და ხან მათხოვრობს ახლო სოფლებსა და ქუთაისში.

— არ იყო საწყალი ისე დიდი ხნისა, რომ დავარდნილიყო...

— არა, შვილო, ხნოვანებითაც კაი ხნის კაცია. მე რომ აქ მამაშენმა მოშიყვანა, ისე პატარა ვიყავი, რომ ქმრის მეშინოდა, მეგონა, აი ახლა, აი ახლა მიკბენს-თქვა. იმ სულწაწყმენდილმა ბიცოლამ დამაშინა ჯერ კიდევ ბალღობისას... ჰო-და, გლახუას მეორე ცოლი ჰყავდა და პირველი ცოლიდან ერთი თორმეტი წლის გოგონა დარჩენოდა. მე ქე ვარ რაღაც სამოცი წლის... ახლა რავა გამეიანგარიშებ, არ იქნება გლახუა სამოცდათუთხმეტი-ოთხმოცი წლის?

— ქე ყოფილა, — დაუდასტურა სიკომ.

— ბატონო, დახედე, — მიმართა მართამ დედამთილს: — ამ ორი ნაჭრიდან ხომ გამოუა სიკოს პაჭიჭები.

ფოტინემ სართავი კარანჩხაში ჩადვა, რძალს ნაჭრები გამოართვა, ჯერ სინათლეზე გახედა, დაჩონჩილი ხომ არსად არისო, მერე კუთხეებში სიმკვრივე გაუსინჯა და უთხრა:

— გამოვა და კარგიც იქნება. თბილია და მხიარული ფერის.

შემდეგ სხვა ნაჭრებს დაუწყო სინჯვა.

— აი ამ ნაკუწებიდან, ოთხფა, ხუთფა თუ დავაკერებთ ერთმანეთს, ჩუსტები გამოგივა, ჩემო რძალო, და ზამთარში მშრალზე გამოგადგება, ხვალ ეს ნაჭრები ორ ბრტყელ ქვის შუა ჩავდვათ მზეზე. კიდევაც გაშრება და კიდევაც დაუთოვდება, ოღონდ ჰუჭყი არ შეყვეს სადმე... გამოჭამს. ხომ გითხარი ჭინჭები გამოგვადგებათქო და გამართლდა ჩემი სიტყვა...

სიკომ ხელი გასწია ახალი ჭოკისაკენ. დედამ შეაჩერა:

— გეყოფა, შვილო, თავს ძალას ნუ დაატან, ახლა დაისვენე.

— მართალს ამბობ, დედა, დავღლილვარ... ვერ შევნიშნე ოღონდ.

ნელა წამოდგა, ძლივს გასწორდა წელში და ტახტზე მიწვა.

— დედა, იცი რა, მოდი ერთი, მერდინები, საცრები და ცხრილები მოქსოვე. მე გოდრებს და კალათებს დავპწნი — გავყიდოთ, ცოტა დაგვეხმარება. ხომ არ დაგვიწყნია ქსოვა?

— რა დამავიწყებდა? ბევრსაც დავამზადებ, ოღონდ ძუა სადაა?

(დასასრული მე-4 გვ.)

---

*) დასასრული. იხ. „ლიტ. და ხელ.“ № 10 (20). იბეჭდება ნაწყვეტების სახით.

ტყვედ ყოფილის დაბრუნება

(დასასრული)

— მოდი ახლა ნუ იტყვი, საწყალ კაცს ანგელოზი იფარავსო. აქეთ რომ მოვდიოდი, ხალხი შემხვდა „დევის წყვარამთან“. ხომ იცი, ქალაქის ახლოს რომ არის? სიცილ-სიმღერით მოდიოდნენ. არ მინდოდა მათი შეხვედრა, — ჩვენებურებს მივამსგავსე... გადაუხვიე წყვარამისკენ, დამიცურდა ფეხი და წყვარამის ძირში მოვადინე ბრეგვა.

— უი, შვილო!

— რამდენი მაგისთანა ამბავი მე შემხვედრია, იმდენი „უი“ თუ იძახე, დედა, ყარყანტო გაგიგჯება, ღიმილით უთხრა სიკომ. — ჰო-და, იქ ეყარა ერთი ათი ცხენის ძვლები მაინც და, რა ძვლები? მარტო თავის ქალა და მუხლის თავი, დანარჩენი აღარაფერი დაეტოვებიათ მგლებს. ჰო-და, იქ იყო აუარებელი ძუა-ფაფარი, წავალ და მოგიტან.

— შენ ოღონ ძუა მომიტანე და რკალები გამიკეთე და სხვა მე ვიცი. ამ ქალებსაც ქსოვას ვასწავლი და კაი იქნება.

* * *

ეწერში ასვლამ სიკო ოდნავ დაღალა. მაგრამ იქაურობის გულმოდგინეთ დათვალიერებამ გული გაუმაგრა, იმედი მისცა, რომ ყანასაც კარგს მოიყვანდა, სანახშირე ორმოს მოწყობაც ხეირს მისცემდა, შემდეგ მიწას გადაატრიალებდა და დობილოსა და ხეხილის ბაღს გააშენებდა. ქვევით, ღელისკენ ჩასვლამ და მერმე თავის ეზოში ასვლამ უფრო მეტად გაახარა: მუხლებში ოდნავ სისუსტეს გრძნობდა, წინდაწინ კი ფიქრობდა, ორჯერ სამჯერ თუ არ დავისვენე, ვერ ავალო.

როგორც კი თავის ნაყანევში მოხვდა, ცოლს შეეყარა, რომელიც ეძებდა, შიშით შეპყრობილი, სად წავიდა ამ სიშორეს, არ წაიქცეს, გული არ წაუვიდესო. მაგრამ შეხვედრისას მშვიდად და მოკრძალებით შეეკითხა:

— რავა ხარ, ხომ არ დაიღალე?

— ისე ვარ, ჩემო მართა, როგორც კაჟი, — და ცოლს ხელი გადახვია და როცა სუროიან ხუმლას ამოეფარენ, აკოცა.

ეს იყო ამ ჩუმი, უსიტყვო, ქმარშვილის სიყვარულსა და მუშაობაში ჩამწვარი ქალის მრავალი წლის ტანჯვა-ვაების ჯილდო. სახე წამოუწითლდა, თვალები გაუბრწყინდა და ცრემლით აევსო. ერთი წამის კოცნაში მთელი წლების ტრფიალი გადასცა ქმარს, მაგრამ ხელიდან გაუსხლტა და გაბმულ თხას მიაშურა. იქ ახლო-მახლო ჰინჭარსა და მოლოქას ძებნა და კრეფა დაუწყო. მთელი სხეულით გრძნობდა, თუ რა ნეტარება დაიკლო, რომ არ დანებდა ქმარს. მაგრამ ახსოვდა დედამთილის დარიგება: „სანამ სულ კარგათ არ იქნება სიკო, არ გაეკარო საცოლქმროდ, ვინ იცის, როგორ მოაქცევს ალერსი ამდენ ნატანჯდასუსტებულ ადამიანსო“. კიდევ შეძლება ერთი, ორი კვირაც მოთმენა და...

— რა ეშმაკია, დედა, მოუსწრია მართასთვისაც ეთქვა, — და ოჯახის ასეთმა წინდახედულმა მზრუნველობამ გაახარა და გაალიმა სიკო.

ასე დაამთავრა სიკომ ქოხისა და ნალიის შეკეთება-დახურვა, ეზოს საიმედო ღობე-ყორე-ეკალით შემორაგვა და კარმიდამოში მრავალგვარი სამუშაო.

დარჩენოდა ეწერის ყამირის აღება.

ნისლიანი დილა იყო. წინწკლავდა. ოჯახის ოთხივე წევრი გამალებით მუშაობდა. სიკო ხესა და ჩირგვებს ჭრიდა და რიგ-რიგად აწყობდა ხარდანს, სარს, შეშას, ფიჩხს. უფროსი ქალები ძირებს სთხრიდნენ და ამ ძირებსაც შეშას უმატებდნენ, ნინოს ფოთოლი და ყლორტები დაჰქონდა თხასთან, რომელიც მედიდურად ახრამუნებდა მონატანს, თითქოს ამბობდა, რძეს ტყვილა ხომ არ გაძლევთ, შემსახურეთო, მოზვრები ნაღვარევზე მიედენათ, სადაც ჯერ კიდევ მწვანე და მაღალი ბალახი განფენილიყო. ხის გამხმარ ტოტზე ეკიდა კალათი მთელი დღის საგზლით. იქვე ხის ძირში ლეკურა თვლემდა.

ჯერ კიდევ ღამით მოვიდნენ აქ და უკვე შრომით იყვნენ გამძღარი — ნახევარი სვრელი გაეტანათ.

შრომაში გართულთ ვერც კი შეემჩნიათ, რომ ცას გადაეწმინდა.

უღრანი ტყით დაფარულ, ახლოს წამოზიდულ მთიდან უეცრად გავარვარებული მზე ამოგორდა.

შორიდან მოისმა დილის ლოცვის პატარა ზარის წკრიალი.

მამლებმა ყივილი გაბეს.

იწყებოდა ჩვეულებრივი სამუშაო დღე.

სიკო განაგრძობდა დაქვეითებული ოჯახის აუჩქარებლად, მიზანშეწონილად ფეხზე წამოყენებას.

გრიგოლ აბაშიძე
ძლევის
ქედი
პოემა
საქართველოს სსრ სახელმწიფო
გამომცემლობა. თბილისი 1944

საბლიტგამმა ამ დღეებში გამოსცა გრიგოლ აბაშიძის ახალი პოემა „ძლევის ქედი“, რომელიც ადრე დაბეჭდილი იყო „კომუნისტის“ ფურცლებზე. პოემა მიძღვნილია კავკასიის დაცვის გმირებისადმი. წიგნის რედაქტორია ამხ. ბესო ჟღენტი. წიგნი ლამაზად არის გამოცემული, გაფორმებულია მხატვარ ს. კეცხოველის მიერ, შეიცავს 60 გვერდს და ღირს 8 მან.

ისტორიის მებრძოლი სული

(დასასრული)

თვითნებურად გადაიტანა რა დრამატურგმა ეს ბრძოლა პოლიტიკურ ორიენტაციათა სფეროში, მან პაატა ბატონიშვილს თავზე მოახვია ისეთი პოლიტიკური მრწამსი, რომელიც არა თუ არ ჰქონიათ, არც შეიძლებოდა ჰქონოდათ „მარკოზაშვილის დარბაზელებს“. პაატა, ერთის მხრივ, აზატხანს უკავშირდება, ხოლო მეორეს მხრივ — რომის პაპსა და ინგლისის მეფეს და ამგვარი კავშირ-ურთიერთობის გასამართლებლად აყენებს ლოზუნგს: „აღმოსავლეთის გზით დასავლეთისაკენ“. ასეთი პოლიტიკური მრწამსით მომქმედი წრე არ არსებობდა იმდროინდელ საქართველოში. დასავლეთისაკენ, მოწინავე და კულტურული მსოფლიოსაკენ ქართველი ხალხის მისწრაფების ერთად-ერთ პოლიტიკურ გამოხატულებას წარმოადგენდა ერეკლეს პოზიცია ევროპეიზაციის გზაზე დამდგარ რუსეთთან დაკავშირებისა და სწორედ ამიტომ იყო ერეკლეს ეს თვალსაზრისი უფრო პროგრესიული იმ პოლიტიკური წრეების თვალსაზრისთან შედარებით, რომლებიც აღმოსავლეთის მუსულმანურ სახელმწიფოებთან კავშირის ნიადაგზე იდგნენ.

რაკი ამგვარი პოლიტიკური ორიენტაციით შეაიარაღა ავტორმა პაატა ბატონიშვილი, მან უკვე ველარ შესძლო ერეკლესთან მისი დაპირისპირებისას მხატვრულად, დაესაბუთებინა ერეკლეს ხაზის ისტორიული სისწორე და სიმართლე, ველარ შესძლო მორალურად განევითარებინა და დაემარცხებინა ერეკლეს წინააღმდეგ მომქმედი რეაქციული ოპოზიცია.

ერეკლესა და პაატას უკანასკნელი შეხვედრა და დიალოგი ისე მთავრდება, რომ სრულიადაც ვერ ბადებს რწმენას ერეკლეს სიმართლეში და პაატას სახის სიყალბესა და რეაქციულობაში. პაატა რაინდულად ეგებება სასიკვდილო განაჩენს, იმ რწმენით, რომ იგი მოქმედებდა სამშობლოს საკეთილდღეოდ და თუ მისი პოზიცია სწორი გამოდგება, კიდევ მოვა „ასი პაატა“, რადგან „აზრს ხომ ათასი თავი აბია“.

პაატა მორალურად განუიარაღებელი და დაუმარცხებელი რჩება და ამ შთაბეჭდილებას სრულიადაც ვერა სცვლის პიესის ფინალში რუსთა ჯარის მიერ მოტანილი ერთი ზარბაზნის გასროლა აზატხანის ურდოების წინააღმდეგ. ერეკლეს მთელი სიბრძნე და პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა სწორედ იმაში გამოიხატა, რომ, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქუხდნენ რუსთა ზარბაზნები საქართველოს მტრების წინააღმდეგ, თუმცა ამ მხრივ ერეკლეს არა ერთი იმედი და მოლოდინი გაუცრუვდა, იგი მაინც ურყევად ერთგული დარჩა საქართველოს რუსეთთან დაკავშირების თვალსაზრისისა.

ისტორიულად ცნობილია, რომ ერეკლე მეორემ არა მარტო ფიზიკურად გაანადგურა „მარკოზაშვილის დარბაზელთა“ ოპოზიცია, არამედ პოლიტიკურადაც, მორალურადაც დაამარცხა და განაიარაღა იგი, გამოვიდა რა მომჩივანის როლში დარბაზის სხდომის წინაშე, სადაც ამხილა და დაასაბუთა პაატას და მისი მომხრეების მოღვაწეობის ანტიხალხური, მოღალატური ხასიათი.

პიესაში არა სჩანს ეს და, მაშასადამე, არა სჩანს, თუ რამდენად მაღლა იდგა ერეკლე პოლიტიკურად, მორალურად, მის წინააღმდეგ ამხედრებულ რეაქციულ თავადობასთან შედარებით, არა სჩანს, რომ იმდროინდელ ვითარებაში ერთად-ერთი სწორი და მიზანშეწონილი გეზი საქართველოს საგარეო ორიენტაციის საკითხში სწორედ ერეკლეს პოზიცია იყო.

და თუ მაინც მაყურებელი ერეკლეს მხარეზეა, თუ იგი თანაგრძნობითა და მადლიერებით შესცქერის სცენაზე მომქმედ ერეკლეს სახეს, ეს იმიტომ, რომ ჩვენმა ხალხმა კარგად იცის ერეკლეს ღვაწლის და მის მიერ არჩეული გზის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც, სამწუხაროდ, ლევან გოთუას „მეფე ერეკლე“-ში შეფასებული და მხატვრულად განსახიერებული არ არის.

უეჭველია, რომ დრამაში დაპირისპირებულ მოწინააღმდეგე ძალთა შორის მორალური წონასწორობის მიღწევის განზრახვამ, ამ პროფესიულმა დრამატურგიულმა მოსაზრებამ მიიყვანა ლ. გოთუა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროდ დაინახა რაღაც იდეური და მორალური შარავანდედით შეემოსა რეაქციული თავადობის მეთაური და პირადი ანგარებით შეპყრობილი ტახტის მაძიებელი პაატა ბატონიშვილი, ხოლო მან არ გაითვალისწინა, რომ ამით იგი არღვევდა, აყალბებდა ისტორიულ სიმართლეს, რითაც არა მარტო ამცირებდა თავისი ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულებას, არამედ ზღუდავდა პიესის აქტუალობასაც, ჩვენი თანამედროვეობისათვის მის იდეურ დიაპაზონს.

ეს მაგალითი კარგად უნდა გაითვალისწინოს ისტორიული ჟანრის მხატვრულ ნაწარმოებზე მომუშავე ყოველმა მწერალმა. ისტორიული სიმართლე (ამ ცნების ფართო გაგებით) უნდა წარმოადგენდეს უპირველეს გამოსავალ წერტილს ამ ჟანრის მხატვრული ქმნილების ავტორისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მარცხი აუცილებელია, ისეთი ნიჭიერებისა და პროფესიული ოსტატობის პირობებშიც, როგორიც უეჭველად გამოიჩინა ლევან გოთუამ თავის ხსენებულ ნაწარმოებში.

შემდეგ წერილში ამავე თვალსაზრისით განვიხილავთ სანდრო შანშიაშვილის ისტორიულ დრამას „კრწანისის გმირებს“.

მსახ. პ. კობახიძე პეტრუჩიოს როლში. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“.

მსახ. ა. ჟორჟოლიანი გრემიოს როლში. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება“.

კლასიკოსების შემოქმედებითი ლაბორატორიიდან

სიმღერის ძალა

ალბათ არ მოიპოვება ისეთი პოეტი, რომელსაც ლექსად არ ეთქვას, თუ რა ძალა და ზეგავლენა აქვს პოეზიას, სიმღერას.

ყველა სცნობს სიმღერის დიდ ძალას და სხვადასხვა სიტყვით და შინაარსით გვისახავს თავის აზრს.

პოეზიის, სიმღერის ზემოქმედებას ეხებიან რუსთაველიც და შექსპირიც. თავის თავად საგულისხმოა, თუ რას ამბობს ეს ორი დიდი პოეტი, მაგრამ ამ შემთხვევაში, უფრო მეტად საინტერესოა ის, რომ ისინი თითქმის ერთნაირად, ერთისა და იმავე შინაარსით და ზოგან სიტყვებითაც კი გვამცნობენ თავიანთ შეხედულებას პოეზიისა და სიმღერის ძალაზე.

რუსთაველი

„რა ესმოდეს მღერა ყმისა,
სმენად მხეცნი მოვიდიან,
მისვე ხმისა სიტკბოსაგან
წყლით ქვანიცა გამოსხდიან“.

შექსპირი

„და მოესმოდა ბალახს ორფეოსის სიმღერა,
ამოდიოდა მიწიდან და ყვავილობდა.
ყველაფერი, რაც ორფეოსის სიმღერას
გაიგონებდა,
მის წინაშე თავს იხრიდა“.

როგორც ხედავთ, ერთი და იგივე მოტივი აქვს ორივეს და ერთსა და იმავე მდგომარეობაშია მოცემული. ორივე შემთხვევაში უსულო საგნებიც კი განიცდიან სიმღერის ზეგავლენას.

რამდენიმე სიტყვა შექსპირის ამ ლექსზე.

ეს სიმღერა ორფეოსზე მოთავსებულია დრამატიულ ქრონიკაში „მეფე ჰენრიხ მერვე“. ამით იწყება მესამე მოქმედება. შექსპირმა ეს უკანასკნელი თავისი ნაწარმოები დასწერა ცნობილ ინგლისელ დრამატურგ ჯონ ფლეტჩერთან ერთად. რადგან ხელნაწერი არ დარჩენილა, ხოლო, როგორც ცნობილია, ტექსტის უმეტესი ნაწილი ფლეტჩერს ეკუთვნის, მკვლევარები და კრიტიკოსები იმ აზრს გამოსთქვამენ, რომ ძნელია იმის დადგენა, თუ რომელია ამ სიმღერის ავტორიო.

ამ ლექსის ნამდვილი ავტორის დადგენა კი არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს. ამის საშუალებას თვით შექსპირი გვაძლევს.

ტრაგედიაში „ვენეციელი ვაჭარი“, რომელშიაც შექსპირს თანაავტორი არა ჰყოლია, და რომელიც „ჰენრიხ მერვეზე“ ბევრად ადრეა დაწერილი, სწორედ ორფეოსის თემას ეხება დიდი პოეტი თითქმის იმავე სიტყვებით, როგორითაც „ჰენრიხ მერვეში“ ლაპარაკობს სიმღერის ძალაზე.

„...ორფეოსი თავისი სიმღერით იზიდავდა ხეებს, ზღვის ტალღებსა და კლდეებს. არ არსებობს მიწაზე ისეთი სულიერი, რომელიც სიმღერის ძალას არ დაემორჩილება“...

როგორც ხედავთ, შექსპირმა „ვენეციელ ვაჭარში“ ადრევე სთქვა ის, რაც გვიან „მეფე ჰენრიხ მერვეშია“ გამეორებული. იგივე მოტივი, იგივე სიტყვები. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ „ვენეციელ ვაჭარში“ ეს სიტყვები ათქმევინა ერთ-ერთ მომქმედ პირს (ლორენციოს მონოლოგი მეხუთე მოქმედებაში), ხოლო „ჰენრიხ მერვეში“ ცალკე სიმღერის სახით მოგვცა.

კოლხი

გ. ბუხნიკაშვილი

ძველი თბილისის მხატვარი

(ა. შამშინოვის გარდაცვალებ იდან 30 წლის თავის გამო)

ა. შამშინოვი ცნობილი იყო თავისი ჟანრული სურათებით, რომლებიც თბილისის მოქალაქეთა ცხოვრებას გამოხატავდნენ.

შამშინოვი გადმოგვცემს ქალაქის ცხოვრების მრავალფეროვნებას, მის სახასიათო კოლორიტს. შამშინოვის ჟანრულ სურათთა შორის განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი „ყეენობა“, რომელიც ეფექტიურად გადმოგვცემს ამ საინტერესო ხალხურ სანახაობას. ფერადოვნებით, კომპოზიციით ეს სურათი შამშინოვის უდავო ნიჭს ამჟღავნებს. არა ნაკლებ საინტერესოა შამშინოვის ამავე ჟანრის სურათები: „ღამის თევა“, „შაითანბაზარი“, „თათრის მოედანი“ და სხვ.

გარდა ამისა, შამშინოვს ბლომად აქვს კავკასიელთა ტიპების სურათები, პეიზაჟები, მასვე ეკუთვნის ჩვენი ცნობილი მუშა-პოეტის იოსებ დავითაშვილის სურათი.

შამშინოვის არქივში დაცული ნახატებისა და ესკიზების გაცნობა გვარწმუნებს, რომ ოსტატის ბევრი შთანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

სავსებით დაკვირვებულ და საინტერესო ოსტატს საშუალება არ მიეცა მთელი თავისი ნიჭი თავისუფალი შემოქმედებისაკენ მიემართა. იგი ჩაბმული იყო მხატვრულ-პედაგოგიურ მუშაობაში და საკუთარი შემოქმედებისათვის საკმაო დროს ვეღარ პოულობდა. დიდად დასაფასებელია მისი პედაგოგიური მოღვაწეობაც, რადგან მისი ხელმძღვანელობით მრავალმა ახალგაზრდამ მიიღო მხატვრული ცოდნა.

არტემ ისაკის-ძე შამშინოვი დაიბადა 1856 წელს, თბილისში, სამხედრო მოხელის ოჯახში, მამა არტემის ბავშვობისას გარდაიცვალა. ხელმოკლედ დარჩენილმა ოჯახმა მაინც შესძლო არტემისათვის საშუალო განათლება მიეცა.

შამშინოვმა ბავშვობიდანვე გამოიჩინა მხატვრობის ნიჭი და თბილისის პირველ გიმნაზიაში სწავლასთან ერთად სამხატვრო სკოლაშიც მეცადინეობდა.

1877 წლიდან შამშინოვი პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში განაგრძობდა სწავლას. უმაღლესი სწავლის დამთავრების შემდეგ იმგზავრა დასავლეთ ევროპაში და 1883 წელს თბილისს დაუბრუნდა. აქ მან დაიწყო პედაგოგიური მოღვაწეობა საშუალო სასწავლებელში, რასაც თითქმის სიკვდილამდე არ ჩამოშორებია. ასწავლიდა ხატვას სომხურ სემინარიას და გიმნაზიებში. როგორც გამოცდილმა პედაგოგმა, დასწერა სახელმძღვანელო „ხატვა-ხაზვის ელემენტარული კურსი“, რომელიც ქართულადაც გამოიცა ავტორის გარდაცვალების შემდეგ.

შამშინოვი აქტიურ მონაწილეობას იღებდა მხატვრულ-საზოგადოებრივ მუშაობაში და ამ მხრივ ცნობილია, როგორც განსაკუთრებულად პატივსაცემი მოღვაწე.

შამშინოვი გარდაიცვალა 1914 წლის თებერვალში.

მაყურებლის შენიშვნები

დასვენების მაგიერ დაღლა

კინო ხელოვნების ყველაზე მასობრივი სახეა. ჩვენი კინოთეატრები მუდამ სავსეა მაყურებლით. მაგრამ ამ მაყურებელს მომსახურება უნდა. კინოთეატრებში-კი მაყურებელთა მომსახურების საქმეს არც ისე დიდი ყურადღება ექცევა. სალაროსთან მუდამ უწესრიგობაა, რიგის დაცვას არავინ აქცევს ყურადღებას.

კინოთეატრის წინ, თუ საინტერესო ფილმს უჩვენებენ, გადამყიდველები ხუთმაგ ფასად ჰყიდიან ბილეთებს. საიდან აქვთ გადამყიდველებს ამდენი ბილეთები?

რაკი მაყურებელი სალაროში ბილეთს ვერ შოულობს, გადამყიდველს მიმართავს, მაგრამ გადამყიდველისაგან შეძენილი ბილეთი ყოველთვის საეჭვოა. წინა რიგების ბილეთებს გადამყიდველები უცვლიან რიგის ნომერს და დარბაზში მუდამ გაუგებრობაა.

სეანსებს შორის მცირე დროა. ამ მოკლე დროში მაყურებელმა უნდა მოძებნოს თავისი ადგილი. ეს ყველაზე ძნელი საქმეა. ავიღოთ კინოთეატრი „რუსთაველი“. იგი სანიმუშო კინოთეატრად ითვლება. დაათვალიერეთ მისი საპროექციო დარბაზი და დაინახავთ, რომ არც ერთ რიგს, არც ერთ სკამს ნომერი არ აწერია. ნუთუ ასე ძნელია სკამებზე ნომრების დაწერა? მებილეთე ქალები, რომელთაც მაყურებელს ადგილი უნდა უჩვენონ, თავის საქმეს უგულოდ ეპყრობიან. გარკვეულ პასუხს მათგან იშვიათად მიიღებთ.

დაიწყება სეანსი, მაგრამ კარი არ იხურება, დარბაზში ხმაური არა სწყდება. ეს ხელს უშლის ფილმის მოსმენას, მით უმეტეს, რომ თბილისის ზოგიერთ კინო-თეატრებში სმენადობა ცუდია. ხანდახან ხმა სულ სწყდება.

ყველა ეს უწესრიგობა ხელს უშლის ფილმის მხატვრულ წარმატებას. მაყურებელი კინოში დასასვენებლად მიდის, კინოდან კი დაღლილი გამოდის.

ფ. ლაცაბიძე

საოპერო რეპერტუარის გამო

სეზონის ნახევარი დამთავრდა. სეზონის დასაწყისიდან 6 თებერვლამდე საოპერო თეატრმა მაყურებელს უჩვენა 146 სპექტაკლი, აქედან ქართული მხოლოდ ცხრამეტი. სახელდობრ — „აბესალომ და ეთერი“ დაიდგა თერთმეტჯერ, „პატარა კახი“ და „კაკო ყაჩაღი“ — სამ-სამჯერ და „ქეთო და კოტე“ ორჯერ. არც რუსული ოპერები იდგმება ხშირად საოპერო თეატრში, დაიდგა მხოლოდ 4 რუსული ოპერა: „ევგენი ონეგინი“, „ალი“, „მეფის საცოლე“, „პიკის ქალი“.

ასეთმა სარეპერტუარო პოლიტიკამ გავლენა იქონია დასწრებაზე. თეატრს მაყურებელი მოაკლდა. მაყურებლის მისაზიდად თეატრმა ოპერეტას მიმართა. ეს არ არის სწორი. ოპერეტისათვის ჩვენ გვაქვს მუსკომედიის თეატრი, საოპერო თეატრმა კი მაყურებლებს უნდა უჩვენოს ქართული და რუსული საუკეთესო ოპერები. განა შეიძლება თბილისში საოპერო თეატრი მუშაობდეს და ასე ძუნწად და იშვიათად გვიჩვენებდეს „აბესალომ და ეთერს“ და „დაისს“? რატომ არ იდგმება „დარეჯან ცბიერი“, „ლატავრა“, ბალანჩივაძის ახალი ოპერა „ბედნიერება“, ა. მაჭავარიანის „დედა და შვილი“, გლინკას „ივან სუსანინი“, ბოროდინის „თავადი იგორი“ და სხვა? უცხოური ოპერების დადგმა საჭიროა, მაგრამ ჯერ ერთი ისინი უნდა იდგმებოდეს ქართულადაც და მეორეც, — უნდა დავიცვათ ზომიერება:

თბილისის საოპერო თეატრმა უნდა გადახედოს თავის რეპერტუარს, განაახლოს და გადაახალისოს იგი.

ს. კვირკველია

ქრონიკა

დ. არაყიშვილისადმი მიძღვნილი საღამო

18 მარტს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში შედგა დ. არაყიშვილის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამო.

მოხსენება თემაზე „დიმიტრი არაყიშვილის მოღვაწეობა“ წაიკითხა პროფ. ლადო დონაძემ. კონსერვატორიის კათედრების, სტუდენტობის, მუსიკალური სასწავლებლების და მუსიკალური ათწლედის წარმომადგენლები მიესალმნენ დიმიტრი არაყიშვილს მისი დაბადებიდან 70 წლის შესრულების გამო.

საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს კონსერვატორიის სტუდენტებმა. მათ შეასრულეს დიმიტრი არაყიშვილის ნაწარმოებები.

ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმი

ყვარელის ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო მუზეუმმა, რომელიც მოთავსებულია ილია ჭავჭავაძისეულ სახლში, შეიძინა მწერალ არტემ ახნაზაროვის ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკა შეიცავს მუზეუმისათვის საჭირო წიგნებს, რომელთა შორის არის ილიას ნაწერების პირველი გამოცემების ეგზემპლარები, ივერიის რედაქციის, თავად ილია ჭავჭავაძის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვალერიან გუნიას, პეტრე უმიკაშვილისეული წიგნები, ზოგიერთ მათგანზე არის ავტორების მიერ წარწერილი მიძღვნა. ბიბლიოთეკა მდიდარი აღმოჩნდა ლექსიკონებით (საბა-სულხან ორბელიანის, დ. ჩუბინაშვილის, დალის ლექსიკონები, ფრანგულ-რუსული, რუსულ-ფრანგული, გერმანულ-რუსული, რუსულ-გერმანული, რუსულ-სომხური, სომხურ-რუსული, უკრაინულ-რუსული, თათრულ-რუსული და რუსულ-თათრული ლექსიკონები), არტემ ახნაზაროვის ბიბლიოთეკის შეძენით მუზეუმის ბიბლიოთეკა შეივსო მრავალი მეცნიერული წიგნით, რომელიც დიდ დახმარებას გაუწევს ლიტერატურისმცოდნეებსა და მკვლევარებს.

ლერმონტოვის ნაწარმოებების ახალი კრებული

საბლიტგამმა გამოსცა მ. ი. ლერმონტოვის ლექსებისა და პოემების კრებული. ლექსები თარგმნეს: დ. გაჩეჩილაძემ, გ. გაჩეჩილაძემ, კ. ნადირაძემ, მ. პატარიძემ, კ. ჭიჭინაძემ და ვ. გორგაძემ.

პოემა „დემონი“ სთარგმნა კ. ჭიჭინაძემ, „მწირი“ / დ. გაჩეჩილაძემ, „ლტოლვილი“ ა. სიჭინავამ. კრებული გამოვიდა გ. ნატროშვილის რედაქტორობით. წიგნი შეიცავს 122 გვ. ღირს 25 მან.

ალ. აბაშელის ლექსები

გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ გამოსცა ალ. აბაშელის სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსები. წიგნი გამოვიდა რ. გვეტაძის რედაქტორობით, შეიცავს 46 გვერდს და ღირს 12 მანეთი.

თბილისის სასკოლო ლიტწრეები

ამასწინად თბილისის ქალთა მესამე სკოლის ლიტერატურულმა წრემ შინაარსიანი ლიტერატურულ-მხატვრული საღამო მოაწყო. საღამოზე მოხსენებით გამოვიდნენ მე-8, მე-9 და მე-10 კლასის მოწაფეები. გრიგორიანმა წაიკითხა მოხსენება თემაზე: „სამშობლოსადმი სიყვარული სამამულო ომის დღეებში“, შაბუროვამ — „სამშობლოსადმი სიყვარული დასავლეთ ევროპელი მწერლების ნაწარმოებებში“, რაშკოვსკაიამ — „სამშობლოსადმი სიყვარული რუსი მწერლების ნაწარმოებებში“, იმედაძემ — „სამშობლოსადმი სიყვარული რუსთაველის შემოქმედებაში“, დოლონაძემ — „სამშობლოსადმი სიყვარული ქართულ ლიტერატურაში“. სკოლის ლიტ. წრემ ამ საღამოსათვის მოამზადა და გამოუშვა ფერადი ალბომი ზემო დასახელებულ მომხსენებელთა წერილებითა და ილუსტრაციებით. წარმატებით ჩატარდა საღამოს მხატვრულ-მუსიკალური განყოფილება, რომელიც საბჭოთა კავშირის ჰიმნის შესრულებით დამთავრდა.

მოძმე რესპუბლიკებში

თურქმენული მუსიკის დეკადა ტაშკენტში

ამჟამად ქ. ტაშკენტში მიმდინარეობს შუააზიის რესპუბლიკების საბჭოთა მუსიკის დეკადა, რომლის დროსაც განსაკუთრებული წარმატება ხვდა თურქმენული სიმფონიური და ხალხური მუსიკის კონცერტებს. მეიტუსისა და ყულიევის ოპერა „აბადან“-ის, შაპოშნიკოვისა და ოვეზოვის ოპერის „შახსენემ“-ის და ყარიბის, აგრეთვე ყულიევის კანტატას („სალამი სტალინს“) შესრულებამ ცხადჰყო თურქმენი კომპოზიტორების შემოქმედებითი წინსვლა, მათი უტყუარი ნიჭი ეროვნული თურქმენული ფოლკლორის საფუძველზე მონუმენტური ნაწარმოების შექმნისა.

მსმენელები დიდი ინტერესით შეხვდნენ მედუდუკეთა და დუდარისტთა ანსამბლებს, სახალხო მომღერლის სახი ჯაფაროვის და სხვების გამოსვლას. დიდი წარმატება ხვდა აგრეთვე თურქმენეთის ფილარმონიის მოცეკვავეთა ანსამბლს.

ესტონური გრაფიკული მხატვრობა

მოსკოვის მხატვართა კავშირში გაიმართა შეხვედრა ესტონეთის გრაფიკოს მხატვრებთან. ესტონეთის მხატვრებმა დამსწრეთ უჩვენეს თავიანთი ნამუშევარი სადაზგო გრავიურისა და წიგნის გრაფიკის დარგში. გამოფენილ ნაწარმოებთა უმრავლესობა მიძღვნილია დიდი სამამულო ომის თემატიკასა და ესტონეთის ხალხის წარსული განმანთავისუფლებელი ბრძოლებისადმი. მოკლე შესავალ სიტყვაში მხატვრობის მცოდნე მ. ხოლოდოვსკაიამ აუდიტორიას გააცნო ესტონური გრაფიკის განვითარების ისტორია და დაახასიათა გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები. დამსწრეთა შორის დიდი ინტერესი გამოიწვიეს პ. ლუხტეინის, ეკოლომის, აინობახის ლინოგრავიურებმა და ქსილოგრაფიულმა ნაწარმოებებმა. შეხვედრა დამთავრდა ესტონეთის საბჭოთა მხატვრების კავშირის თავმჯდომარის ე. ადამსონ ერიკის დასკვნითი სიტყვით.

სატირის ოსტატთა გამოფენა მოსკოვში

მარტის დამდეგს, მოსკოვის მხატვართა ამხანაგობამ მოაწყო სატირის ოსტატთა ნამუშევრების გამოფენა. გამოფენაზე წარმოდგენილი არიან მხატვრები ბ. ეფიმოვი, ბროდატი, განფა, გორიაევი, ელისაევი, კანევსკი და სხვები. მოსკოვის პრესა განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ბროდატის და ბ. ეფიმოვის შარჟებსა და კარიკატურებს. გამოფენის მონაწილე მხატვართა დიდ უმრავლესობას ახასიათებს თემის მიგნება და მისი სატირული გადაწყვეტა. ნახატების მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილად მიდის მაყურებლამდე.

„ეს გამოფენა მთლიანად, — სწერს მოსკოვის „ლიტ. ი ისკ.“, — შესანიშნავი დადასტურებაა იმისა, რომ დღევანდელი დღის თემატიკა მხატვრობისათვის არა თუ აუცილებელია, არამედ იგი წამყვანი უნდა იყოს. გამოფენის მნახველთა დიდი ნაწილი მოითხოვს, რომ ასეთი გამოფენა, რაც შეიძლება ხშირად იმართებოდეს როგორც მოსკოვში, ისე საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებში“.

შევჩენკოს სახელობის თეატრი

შევჩენკოს სახელობის კიევის ოპერისა და ბალეტის თეატრი, რომელიც სამამულო ომის წლებში ქალ. ირკუტსკში მუშაობდა, ამ დღეებში ბრუნდება თავის მშობლიურ დედაქალაქ კიევში. ომის წლებში ამ თეატრის მუშაობა ფრიად ნაყოფიერი იყო. მან განახორციელა რუსი კომპოზიტორების ოპერების „ივან სუსანინის“, „ევგენი ონეგინის“, „შეხერაზადას“ და უცხოური კლასიკური ოპერების რამდენიმე ახალი დადგმა. თეატრმა ირკუტსკში პირველად დადგა უკრაინელი ავტორების ვერიკოვსკის, იორიშ-სმოლიჩის, არკასის ახალი ოპერები და საბალეტო სპექტაკლები. ირკუტსკიდან კიევში გამგზავრების წინ შევჩენკოს სახ. თეატრი აწყობს უკრაინული მუსიკის და სიმღერის დიდს გამოსათხოვარ ფესტივალს.

კომპოზიტორების შემოქმედებითი თათბირი

მარტის დამლევს მოსკოვში მოეწყობა მუსიკოსთა ფართო შემოქმედებითი თათბირი საკითხზე: „მუსიკა სამამულო ომის ეპოქაში“. ამ თათბირზე, რომელიც ერთ კვირას გასტანს, მოხსენებით გამოვლენ დ. შოსტაკოვიჩი — „საბჭოთა კომპოზიტორების შემოქმედებითი ამოცანები სამამულო ომის დღეებში“, ბ. ასაფიევი — „საბჭოთა მუსიკის განვითარების გზები“, ვ. შებალინი — „კომპოზიტორული ოსტატობის შესახებ“. მთელ რიგ თანამოხსენებებში კრიტიკულად განხილული იქნება საბჭოთა კომპოზიტორების ყველაზე მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ნაწარმოებები, მათ შორის, დ. კაბალევსკის ოცდამეოთხე სიმფონია, ნ. მიასკოვსკის მე-9 კვარტეტი და კანტატა „კიროვი ჩვენთანაა“, დ. შოსტაკოვიჩის მე-8 სიმფონია, ა. ხაჩატურიანის მეორე სიმფონია და სიუიტა ბალეტ „გაიანე“-დან, ვ. ჟელობინსკის სიმფონიები, მ. კოვალისა და ნ. ჩემბერჯის კვარტეტები და სხვ.

დანტეს ახალი თარგმანი რუსულად

ევროპული კლასიკური ლიტერატურის ცნობილმა მკვლევარმა და მთარგმნელმა მ. ლოზინსკიმ დაამთავრა დანტეს „ღვთაებრივი კომედიის“ ორი დანარჩენი ნაწილის „სალხინებლისა“ და „სამოთხის“ თარგმნა, რაზედაც იგი შვიდ წელიწადს მუშაობდა. მთარგმნელმა მოსკოვის მწერალთა კლუბში წაიკითხა ნაწყვეტები ახლად დამთავრებული ნაწილებიდან. ბ. ტომაშევსკი შემდეგ შეფასებას აძლევს ლოზინსკის ნამუშევარს: ლოზინსკიმ შესძლო რუსულად გადმოეცა დანტეს ხმა მისი ძნელი, მაგრამ მეტად მეტყველი ინტონაციებით, მისი ჰარმონიული ენის თავისებურებით. ლოზინსკიმ დასძლია ფორმა ტერცინისა, რომელიც ყოველ მთარგმნელს დიდ დაბრკოლებას უქმნიდა. ახალ თარგმანში რუს მკითხველს პირველად ეძლევა შესაძლებლობა წაიკითხოს დანტე. ამ პოემის ყველა წინანდელი თარგმანი ძალზე სუსტი იყო. განმტკიცებულია შეხედულება, თითქოს „სალხინებელი“ და „სამოთხე“ პოეტურად „ჯოჯოხეთზე“ სუსტი იყოს, თითქოს ისინი უფრო ისტორიულ დოკუმენტს წარმოადგენენ, ვიდრე მხატვრულ ქმნილებას. მ. ლოზინსკის თარგმანმა სავსებით გააბათილა ეს აზრი“.

მოსკოვის თეატრებში

ს. რაბინსკის და ვ. შკლოვსკის კომედია „ჩემო ქალბატონო“

ს. რაბინსკიმ და ვ. შკლოვსკიმ დასწერეს კომედია ისტორიულ თემაზე, კომედიას ეწოდება „ჩემო ქალბატონო“ და ასახავს პეტრე პირველის გვარდიის გმირულ ბრძოლებს ქ. რიგისათვის. კომედიის მთავარი პერსონაჟია მოსკოველი ბოიარის ასული რომელიც მარკიტანტად ხდება და თავის ყოფაქცევით საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანებს მებრძოლებს. კომედია იდგმება მცირე თეატრში. სდგამს რეჟისორი კ. ზუბოვი, მხატვარია ე ლანსერე.

„ისინი ცხოვრობდნენ ლენინგრადში“

ლენინური კომკავშირის სახ. მოსკოვის თეატრი სდგამს ო. ბერგოლცის და გ. მაკოგონენკოს ახალ პიესას „ისინი ცხოვრობდნენ ლენინგრადში“. პიესაში მოთხრობილია ლენინგრადის ერთ-ერთი ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციის გმირული ისტორია სამამულო ომის წლებში.

მარტის დამლევს იმავე თეატრში დაიდგმება ტურისა და ლ. შეინინის ახალი პიესა „დუელი“. აპრილის დამლევს იგივე თეატრი მაყურებლებს უჩვენებს ი. ტურგენევის ცნობილ პიესას „ერთი თვე სოფელში“.

სარედაქციო კოლეგია:
ო. ეგაძე, გ. ნატროშვილი (პ.-მგ. რედაქტორი), შ. რადიანი, გ. ქიქოძე,
ს. ჩიქოვანი, ვ. ჭულუკიძე, მ. ჭიაურელი.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 18, (მწერალთა სასახლე), ტელეფონი 8—47—10.

უე 00264

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 28.